# 41 ქართული ოცნება

## განვითარება ყველა რეგიონს



## ძვირფასო შუახეველებო!

მოგმართავთ იმ პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, რომელიც აღებული გვაქვს თითოეული თქვენგანის, ჩვენი ქვეყნის თითოეული მოქალაქის წინაშე!

თქვენ კარგად იცით სამშობლოს სიყვარულის, მშვიდობისა და თავისუფლების ფასი. ეს არის ის ღირებულებები, რომელთა ერთგულება თითოეული ჩვენგანის ვალია და რომლებმაც უნდა გაგვაერთიანოს ჩვენი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ. „ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭო, ჩვენი მრავალათასიანი გუნდის სახელით აცხადებს, რომ მყარად დაიცავს ჩვენს ეროვნულ ინტერესებს და არავის მისცემს მძიმე წარსულში დაბრუნების შესაძლებლობას.

„განვითარება ყველა რეგიონს“ – ეს არის ჩვენი მიზანი, რომელიც თქვენი მხარდაჭერით და თქვენთან ერთად, აუცილებლად შესრულდება.

ჩვენ მიერ წარდგენილი შუახევის მერობის კანდიდატისა და შუახევის საკრებულოს წევრობის კანდიდატების მხარდაჭერა უმნიშვნელოვანესია იმისათვის, რომ წარმატებით გაგრძელდეს მუნიციპალიტეტში დაწყებული პროექტები, გაგრძელდეს შუახევის განვითარება და გაუმჯობესდეს მოსახლეობის ცხოვრების პირობები.

ჩვენ გვაქვს კონკრეტული ხედვა და გეგმები, თუ როგორ უნდა განვითარდეს შუახევი და გვჯერა, რომ ჩვენი გუნდი თქვენგან კვლავაც მყარ მხარდაჭერას მიიღებს.

სამართლიან და თავისუფალ არჩევნებში ერთად უნდა ვიზეიმოთ ჩვენი საერთო გამარჯვება!

*„ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭო*

# შუახევის მუნიციპალიტეტი

## ეკონომიკა

**„ქართული ოცნების" ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, ეკონომიკის სისტემური რეფორმირება დაიწყო.** ჩვენი გუნდის მმართველობის პირობებში, ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი, 2012 წელს არსებული 27,2 მილიარდიდან, 2020 წელს, პანდემიის ფონზე, 49,4 მილიარდ ლარს გაუთანაბრდა. ხელისუფლების გრძელვადიანი გეგმის მიხედვით, საშუალოვადიან პერიოდში, ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპი, საშუალოდ, 5%-ის ფარგლებში იქნება. ამ ფონზე, აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებლის განახევრება იგეგმება, რაც 2030 წლისთვის 10.7%-მდე შემცირებას გულისხმობს.

**„ქართული ოცნების" ხელისუფლების პირობებში, ბიზნესი გათავისუფლდა პოლიტიკური წნეხისგან,** შესაბამისად ბიზნესსექტორის ბრუნვის მოცულობა, 2012 წელს არსებული 42 მილიარდიდან 2020 წელს, გლობალური პანდემიის მიუხედავად, 109,5 მილიარდ ლარს გაუტოლდა. ჩვენი გუნდის ეკონომიკური პოლიტიკა მიზნად ისახავს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და შემდგომი ოთხი წლის განმავლობაში უმუშევრობის დონე შემცირდება ერთნიშნა მაჩვენებლამდე.

### ადგილობრივი ბიუჯეტი

**გასული წლების განმავლობაში, მნიშვნელოვნად გაიზარდა ხელისუფლების მიერ შუახევის მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამებისა და პროექტების მოცულობა.** გასული წლების განმავლობაში, მნიშვნელოვნად გაიზარდა ხელისუფლების მიერ შუახევის მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამებისა და პროექტების მოცულობა. იზრდება ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსება – 2013 წელს შუახევის ბიუჯეტიდან ინფრასტრუქტურულ პროექტებზე 3 მლნ 890 ათასი ლარი დაიხარჯა, 2021 წელს კი – 8 მლნ 400 ათას ლარზე მეტია. იზრდება საბიუჯეტო შემოსავლები – 2013 წელს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლები 5 მლნ 607 ათასი ლარი იყო, 2021 წლისთვის ადგილობრივი და სხვა შემოსავლების სახით 16 მლნ 360 ათას ლარს შეადგენს.

### სოფლის მეურნეობა

**სოფლის მეურნეობის განვითარება, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გაზრდა და სოფლად ადამიანების დასაქმება სახელმწიფოს ერთ-ერთი პრიორიტეტია.** „ქართული ოცნების" ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, სოფლის მეურნეობის დაფინანსება, 2012 წელს არსებული 228 მილიონიდან 2020 წლისთვის 434 მლნ ლარამდე გაიზარდა, ხოლო სურსათის ექსპორტი – 511 მლნ დოლარიდან 942 მლნ დოლარამდე.

**შუახევის მუნიციპალიტეტში,** 2014-2021 წლებში, **აგროდაზღვევის პროგრამით**, დაზღვეულია ჯამურად, 70 ჰექტარი (მოსავლის ღირებულება 192 384 ლარი), რითაც ისარგებლა 151-მა ბენეფიციარმა. **სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის პროგრამით** დღეს მოქმედებს 5 კოოპერატივი (27 მეპაიე, კაპიტალი 1 840 ლარი). 2013-2021 წლებში, **შეღავათიანი აგროკრედიტით** ისარგებლა 7-მა უნიკალურმა ბენეფიციარმა, ჯამურად 308 293 ლარის პროექტები განხორციელდა, (თანამონაწილეობა 83 565 ლარი). **სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომისა და მოქნილობის პროგრამით** განხორციელდა 1 პროექტი (ჯამურად 400 ათასი ლარი). 2019 წელს მოეწყო საჩითილე, სანერგე და სავენახე **მეურნეობები**, რაზეც ჯამურად 1 000 000 ლარამდე დაიხარჯა. 2013-2021 წლებში, პროგრამით **მაღალეფექტური მრავალწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების განვითარების ხელშეწყობა,** ჯამურად 80,8 ჰექტარზე გაშენდა მრავალწლიანი ხეხილოვანი კულტურების ბაღები (273 834 ლარი, თანამონაწილეობა 211 184 ლარი), რითაც ისარგებლა 275-მა ბენეფიციარმა. პროგრამით **სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ტექნიკური საშუალებებით ფერმერთა და აგრომეწარმეთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა,** 2012-2021 წლებში, ბენეფიციარებს, ჯამურად, 1 417 177 ლარის, 657 ერთეული სხვადასხვა სახის მცირე მექანიზაციის ტექნიკური საშუალებები გადაეცათ (თანამონაწილეობა 972 316 ლარი). **სასათბურე მეურნეობების განვითარების ხელშეწყობის** პროგრამით, 2013-2021 წ.წ. ჯამურად 149 773 ლარის 50 სასათბურე მეურნეობა მოეწყო (თანამონაწილეობა 104 840 ლარი). პროგრამით **აგრომომსახურეობის განვითარების ხელშეწყობა,** 2020-2021 წლებში, დაიხნა 211 ჰა სასოფლო-სამეურნეო ფართობი (45 465 ლარი). **მეფუტკრეობის განვითარების ხელშეწყობის** პროგრამით, 2019-2021 წ.წ. ბენეფიციარებს ჯამურად 7500 ლარის 75 ფუტკრის ოჯახი გადაეცათ. **სამელიორაციო სამუშაოებიზე,** 2019-2020 წლებში, დაიხარჯა 817 426 ლარი. რეაბილიტირდა 13 სარწყავი არხი (ჯამური სიგრძე 62,85 კმ, წყალუზრუნველყოფილი მიწის ფართობი 526 ჰა-მდე გაიზარდა).

სახელმწიფომ **აზიური ფაროსანას** საწინააღმდეგოდ, შუახევის მუნიციპალიტეტში, ცივი შესხურებით წლიურად საშუალოდ დაამუშავა 417 ჰექტარი. შედეგად მისი რაოდენობა საგრძნობლად შემცირებულია. დღეს აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის საქართველოს გამოცდილებას საერთაშორისო ექსპერტები სამაგალითოდ აღიარებენ.

- **მომდევნო წლებში გაგრძელდება სოფლის მეურნეობის ხელშემწყობი პროგრამები, რაც რამდენიმე ასეული ახალი სამუშაო ადგილის შექმნასა და სოფლად დასაქმებული ადამიანების შემოსავლების ზრდას უზრუნველყოფს;**
- **ქვეყნის მასშტაბით 2024 წლამდე განხორციელდება 1.2 მილიონი ჰექტარი მიწის სისტემური რეგისტრაცია, რითაც პრაქტიკულად მიწის რეგისტრაციის პრობლემა სრულად აღმოიფხვრება.**

### მეწარმეობის განვითარება

**მეწარმეობის განვითარება და, ზოგადად, სამეწარმეო სულისკვეთების გაძლიერება ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. ამ თვალსაზრისით, მოქმედებს რამდენიმე სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ორიენტირებულია მეწარმეობის ხელშეწყობაზე.**

**მიკრო და მცირე მეწარმეობის მხარდამჭერი პროგრამით,** „აწარმოე საქართველოში" მხარდაჭერით, 237 305 ლარის გრანტი გაიცა. განხორციელდა 298 389 ლარის ინვესტიცია. ჯამურად დაფინანსდა 22 პროექტი (არსებული ბიზნესის გაფართოების მიზნით – 9, ახალი „სტარტაპის" მხარდასაჭერად 13 პროექტი).

2020 წელს გაერო-ს განვითარების პროგრამა – UNDP-ის და აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ა(ა)იპ ბათუმის ბიზნეს ინკუბატორის (BBI) მიერ განხორციელდა მიკრო და მცირე ბიზნესის მხარდაჭერის **პროექტი „იდეებიდან წარმატებამდე",** რომლის მიზანია სოფლად მიკრო და მცირე ბიზნესის ხელშეწყობა და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება. შუახევის მუნიციპალიტეტში პროექტით ისარგებლა 10-მა ბენეფიციარმა (ჯამურად 150 730 ლარი).

### ენერგეტიკა

**საქართველოს ენერგეტიკული პოლიტიკის უმთავრესი მიზანია ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების გაძლიერება და ენერგოდამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლება. ჩვენი გუნდის ენერგეტიკული პოლიტიკის ძირითადი ამოცანა იმპორტირებულ ენერგორესურსებზე დამოკიდებულების ეტაპობრივ შემცირებასა და ადგილობრივი რესურსების ეფექტურ ათვისებას უკავშირდება.**

**2013-2021 წლებში, აჭარის რეგიონში 6 ჰიდროელექტროსადგური აშენდა** (კინტრიშა ჰესი, ხელვაჩაური ჰესი 1, შუახევი ჰესი, სკურდიდი ჰესი, კირნათი ჰესი და სხალთა ჰესი). მათი დადგმული სიმძლავრე ჯამურად 269 მგვტ-ია, წლიური გამომუშავება 817 მლნ კვტ/სთ, ჯამური ინვესტიცია 781 მლნ აშშ დოლარი. **მშენებლობის, ლიცენზირების ან კვლევის ეტაპზეა 6 ჰესი: კირნათი ჰესი** – დადგმ. სიმძლავრე 51 მგვტ, 90 000 000 დოლარი; **სკურდიდი3 ჰესი** – დადგმ. სიმძლავრე 1,45 მგვტ, 1,34 მლნ აშშ დოლარი; **სკურჰესი** – დადგმ. სიმძლავრე 1,98 მგვტ, 3,2 მლნ აშშ დოლარი; **გოგინაური ჰესი** – დადგმ.სიმძლავრე 4,72 მგვტ, 5 420 000 აშშ დოლარი; **აკავრეთა ჰესი** – დადგმ.სიმძლავრე 20 მგვტ, 35 მლნ აშშ დოლარი; **შევაბური ჰესი** – დადგმ. სიმძლავრე 1,96 მგვტ, 3 მლნ აშშ დოლარი; **ხოხნისწყალი 1** – დადგმ.სიმძლავრე 1.08 მგვტ, 1.66 მლნ აშშ დოლარი; **ხოხნისწყალი 2** – დადგმ. სიმძლავრე – 1.55 მგვტ, 2.1 მლნ.აშშ დოლარი; **ხოხნისწყალი 3** – დადგმ.სიმძლავრე – 1.99 მგვტ, 2.7 მლნ აშშ დოლარი.




2013-2017 წლებში, შუახევის მუნიციპალიტეტში, 3 000-ზე მეტ აბონენტს დაუმონტაჟდა **ელექტროენერგიის ინდივიდუალური მრიცხველი**, რითაც შუახევში მოსახლეობის ელექტროენერგიით უზრუნველყოფის საკითხი სრულად მოწესრიგდა. 2020 წელს დას-

რულდა სოფელ ხიჭაურების **გაზიფიცირება** (121 პოტენციური აბონენტი). 2021-2024 წლებში იგეგმება 4 სოფლის (დაბა შუახევი, ოქროპილაური, ზედაყანა, ზამლეთი) გაზიფიცირება (458 აბონენტი). აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ, 2017-2018 წლებში, განახორციელა ბათუმი-ხელვაჩაური-ქედა-შუახევი (ხიჭაურის დასახლება) **გაზსადენის** სამშენებლო სამუშაოები (სიგრძე– 66 612 მ, სულ 25 638 788 ლარი).

## ტურიზმი

**„ქართული ოცნების“ გონივრული პოლიტიკის შედეგად, ტურიზმის სფეროს განვითარების თვალსაზრისით, შთამბეჭდავი შედეგები იქნა მიღწეული. 2012 წლის შემდეგ, გაორმაგდა საერთაშორისო ვიზიტორთა და მოგზაურთა რაოდენობა და 4,7 მილიონიდან 2019 წელს (პანდემიამდე) 9,4 მილიონს გაუთანაბრდა.**

**ტურიზმის განვითარების მიზნით,** შუახევში ტარდება ტურისტული მარშრუტების კვლევა და ტურისტული რესურსების სრული ინვენტარიზაცია. **2013-2021 წლებში, მუნიციპალიტეტში განხორციელდა რამდენიმე პროექტი:** მოეწყო სოფელ ხიჭაურში, კავიანის ციხე-სიმაგრეზე მისასვლელი ტურისტული ბილიკები; ჩატარდა ნიგაზეულისა და ოთოლთას ციხე-სიმაგრეების კეთილმოწყობის სამუშაოები; ნიგაზეულის მუზეუმის რეაბილიტაცია; ხაბელაშვილებში მუზეუმი გაიხსნა.

**ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით, დაგეგმილია:** ჩირუხში საპიკნიკე ადგილის მოწყობა; ჩირუხის ტურისტულ მარშრუტზე ახალი ტურისტული მიზიდულობის ცენტრის შექმნა; გომარდულის ტურისტულ-სარეკრეაციო ადგილის განვითარება-ტობოგანის მშენებლობა; ხაბელაშვილების „წისქვილების სოფლის“ განვითარება. შეიქმნა ჭვანის ხეობის განვითარების კონცეფცია და განაშენიანების გეგმა, რომლის საფუძველზეც სამომავლოდ მოეწყობა ტურისტული ზონა. იგეგმება ჩირუხის მთაზე უნიკალური, განსხვავებული ტურისტული ინფრასტრუქტურის შექმნა. 2020 წელს ჩირუხის მთაზე მოეწყობა ავთენტური, მრავალფუნქციური საპიკნიკე ზონა.

2015-2021 წლებში – ტურისტული ლოკაციების და მარშრუტების პოპულარიზაციის მიზნით, ორგანიზება გაეწია საინფორმაციო გაცნობით ტურებს; **2021 წელს** მომზადდა ტურისტულო თავშესაფრის პროექტი და გამოცხადებულია ტენდერი მის მშენებლობაზე (ჯვარიმინდორი, შუახევი); დაიწყო საპიკნიკე ინფრასტრუქტურის მშენებლობა ჯვარიმინდორზე; მიმდინარეობს ველობილიკის მშენებლობა – იგეგმება შუახევში, კავიანის ციხის გავლით, ქედისა და შუახევის მუნიციპალიტეტებზე გარდამავალი საფეხმავლო-საველოსიპედე ბილიკის მოწყობა. დაიგეგმა კულინარიული ექსპედიცია – კვლევა მოიცავს აჭარის ხუთივე მუნიციპალიტეტს, ექსპედიცია აღმოაჩენს მივიწყებულ კერძებსა და ტრადიციებს, რაც ერთ სახელმძღვანელოში გაერთიანდება.

- **მომავალში „ქართული ოცნების“ გუნდის გეგმის თანახმად, საშუალოვადიან პერიოდში, 2025 წლისთვის ქვეყანას 10 მილიონი მოგზაური ეწვევა, ხოლო ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი 4.2 მილიარდ დოლარს გაუთანაბრდება;**
- **2030 წლისთვის საქართველო 13 მილიონ მოგზაურს უმასპინძლებს, ხოლო შემოსავლები 6,5 მილიარდ დოლარს მიაღწევს.**

## გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა

**„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, გარემოსდაცვითი ღონისძიებების გატარების თვალსაზრისით, არაერთი რეფორმა გატარდა.** ქვეყნის მასშტაბით, თუ 2012 წელს დაცული ტერიტორიები 519 ათასი ჰექტარი იყო, დღეისათვის, 798 ათასი ჰექტარია. 2012-2020 წლებში, შეიქმნა 26 ახალი და გაფართოვდა 3 დაცული ტერიტორია.

2021 წელს, **პირველად, საქართველოს ისტორიაში,** საქართველოს 4 დაცული ტერიტორია: მტირალასა და კოლხეთის ეროვნული პარკები და კინტრიშისა და ქობულეთის დაცული ტერიტორიები „კოლხური ტყეებისა და ჭარბტენიანი ტერიტორიების“ სახელით, UNESCO-ს მსოფლიო ბუნებრივი მემკვიდრეობის ნუსხაში შევიდა. გადაწყვეტილება ჩინეთის ქალაქ ფუჟოუში, UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის 44-ე სესიაზე მიიღეს. მსოფლიო ბუნებრივი მემკვიდრეობის სტატუსის მქონე ტერიტორიები მდებარეობს საქართველოში, აჭარის ა/რესპუბლიკაში, გურიასა და სამეგრელო-ზემო სვანეთში.

შუახევში ჩატარდა **ტყის ინვენტარიზაცია.** ტყის **აღდგენითი სამუშაოები** განხორციელდა 195 ჰექტარზე. 2013-2021 წლებში, ინდივიდუალური საყოფაცხოვრებო სარგებლობის მიზნით, მოსახლეობაზე გაცემულია 132 ათასი კუბური მეტრი **მერქნული რესურსი.**

გარემოს ეროვნული სააგენტო მუდმივად, უწყვეტ რეჟიმში ახორციელებს **ჰიდრომეტეოროლოგიურ დაკვირვებებს და** ამზადებს გაფრთხილებებს მოსალოდნელი სტიქიური მოვლენების შესახებ. უწყვეტად ხორციელდება სტიქიური გეოლოგიური პროცესების მონიტორინგი, მუშავდება რეკომენდაციები პრევენციული ღონისძიებების გატარების მიზნით; მიმდინარეობს მიწისქვეშა **მტკნარი სასმელი წყლების მონიტორინგი** 3 წყალპუნქტზე; პროექტით „კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაციის შესაძლებლობების გაძლიერება საქართველოში“ (GCF, UNDP/SDC) ფარგლებში **მდ. ჭოროხი-აჭარისწყლის აუზში მიმდინარეობს საველე გეოლოგიური კვლევები,** რის საფუძველზეც მომზადდება გეოლოგიური საფრთხეების GIS მონაცემთა ბაზა, კატალოგი/კადასტრი და საფრთხეების ზონირების რუკები.

**სამომავლოდ** გაფართოვდება ატმოსფერული ჰაერის, ნიადაგის და წყლის ხარისხის მონიტორინგისა და შეფასების სისტემები; **გაგრძელდება** სტიქიური გეოლოგიური პროცესების ყოველწლიური მონიტორინგი, შეფასდება გეოლოგიური საფრთხის ქვეშ არსებული დასახლებები და გაიცემა რეკომენდაციები გასატარებელი დამცავი ღონისძიებების შესახებ; გარემოსდაცვითი სტანდარტები თვისებრივად დაუახლოვდება ევროპულ მოთხოვნებს; **ხელისუფლების გეგმით,** 2030 წლისთვის დაცული ტერიტორიების ფართობი 1 მლნ ჰექტარს გაუთანაბრდება.

## ინფრასტრუქტურა და საზოგადოებრივი მომსახურება

**2022-2023 წლებში, შუახევის მუნიციპალიტეტში, ინფრასტრუქტურისა და საზოგადოებრივი მომსახურების გაუმჯობესება-განვითარებაზე განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება.**

**2013-2020 წლებში**, შუახევის მუნიციპალიტეტში, **ადგილობრივი მნიშვნელობის** გზების, ხელოვნური ნაგებობების მშენებლობა-რეაბილიტაციასა და მოვლა-შენახვაზე ადგილობრივი ბიუჯეტიდან ჯამურად 52 563 759 ლარი დაიხარჯა. **გზების მშენებლობა-რეაბილიტაციის ქვეპროგრამით** განხორციელდა 67,51 კმ გზის რეაბილიტაცია (27 985 813 ლარი). **ხელოვნური ნაგებობების მშენებლობა-რეაბილიტაციის ქვეპროგრამით** შესრულდა 6 895 752 ლარის სამუშაოები: აშენდა 289 **საყრდენი კედელი და დამცავი ნაგებობა,** 9 **ახალი ხიდი** და რეაბილიტირდა 14. გზების მოვლა-შენახვაზე 16 522 683 ლარი დაიხარჯა.



ხელისუფლების გეგმით, 2021-2025 წლებში, შუახევში, იგეგმება მაღალსიჩქარიანი ფართოზოლოვანი ქსელის მშენებლობა. ინფრასტრუქტურის მოწყობის შედეგად, მუნიციპალიტეტის 28 დასახლებულ პუნქტში მცხოვრებ 2 296 ოჯახს **მაღალსიჩქარიან ინტერნეტზე წვდომის** საშუალება ექნება.

ხელისუფლების გეგმის თანახმად, მუნიციპალიტეტის **წყალმომარაგების** გაუმჯობესების მიზნით, დამატებით 35,7 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯება. შუახევში უკვე მიმდინარეობს ან იგეგმება წყალმომარაგების პროექტები შემდეგ სოფლებში: დაბა შუახევი, გომარდული, წანკალაური, სხეფი, სხეფელა, თერნალი, ბარათაული, ბრილი, ზემო ხევი, ჭალა, წყაროთა, ვარჯანაული, ჟანივრი, კვიახიძეები, გოგაძეები, ტბეთი (სულ 1328 ოჯახი).

### 2021 – 2022 წლებისთვის შუახევის მუნიციპალიტეტში დაგეგმილია ან უკვე განხორციელების ფაზაშია შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები:

- მუნიციპალიტეტის შიდასაუბნო გზების რეაბილიტაცია (ბეტონის საფარი, ახალი გზის მშენებელობა, სანიაღვრე არხების მოწყობა) – 1 586 200 ლარი; მათ შორის ბეტონის საფარი მოეწყობა: ზამლეთის ადმინისტრაციულ ერთეულში – 173 995 ლარი; შუახევის ადმინისტრაციულ ერთეულში – 123 498 ლარი; ჭვანის ადმინისტრაციულ ერთეულში – 186 834 ლარი; უჩამბის ადმინისტრაციულ ერთეულში – 175 000 ლარი; ბარათაულის ადმინისტრაციულ ერთეულში – 145 000 ლარი; წყალსაყრის ადმინისტრაციულ ერთეულში – 133 244 ლარი; შუბნის ადმინისტრაციულ ერთეულში – 134 098 ლარი; ოლადაურის ადმინისტრაციულ ერთეულში – 108 359 ლარი; დღვანის ადმინისტრაციულ ერთეულში – 138 775 ლარი.
- ახალი გზების მშენებლობაზე, არსებულის რეაბილიტაციასა და გზებზე სანიაღვრე არხის მოწყობაზე დაიხარჯება – 281 300 ლარი.
- მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლისა და სახელოვნებო სკოლის შენობის მშენებლობა – 548 900 ლარი;
- სოფლებსა და სამთო იალაღებზე სასმელი წყლების მოწყობა (16 ლოკაციაზე) – 525 000 ლარი:
- სოფლის ცენტრების კეთილმოწყობა (ბუთურაულის ცენტრის კეთილმოწყობის დასრულება – 35 000 ლარი, მაწყვალთა – 74 998 ლარი, ქიძინიძეები – 54 560 ლარი, წაბლანა – 99 998 ლარი, წყაროთა – 62 500 ლარი, ტომაშეთი – 47 400 ლარი, ჯაბნიძეები – 54 721 ლარი, კლდისუბანი – 16 600 ლარი, წელათი – 39 200) – 485 000 ლარი;
- მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებები (82 ლოკაციაზე) – 803 500 ლარი;
- დაბის კეთილმოწყობა – 230 000 ლარი;
- მახალაკიძეების ბაგა-ბაღის და ეზოს კეთილმოწყობა – 232 000 ლარი;
- დღვანის ბაგა-ბაღის მშენებლობა – 244 444 ლარი;
- ჭვანის, ტაკიძეების, ხიჭაურისა და რიკიხიდის სპორტული მოედნების რეაბილიტაცია – 155 000 ლარი;
- წყალსაყარის, დღვანის, ხიჭაურისა და ჭვანის ამბულატორიების რეაბილიტაცია – 100 000 ლარი;
- მოსაცდელების მშენებლობა, არსებულის რეაბილიტაცია (22 მოსაცდელის რეაბილიტაცია და 4 ახალი მოსაცდელის მშენებლობა) – 75 000 ლარი;
- მაწყვალთის მთებში შიდა და გარე ელექტროსადენის ახალი ქსელის მოწყობა – 277 775 ლარი;
- ღომას მთებში შიდა და გარე ელექტროსადენის ახალი ქსელის მოწყობა – 270 000 ლარი;
- ფურტიო, ბუთურაული, ნენიის წყალსადენის სათავე და გამწმენდი ნაგებობის მოწყობა – 671 000 ლარი;
- სარწყავი არხების რეაბილიტაცია (15 ლოკაციაზე) – 130 000 ლარი;
- სასმელი წყლის სისტემის მოწყობა და არსებულის რეაბილიტაცია (9 ლოკაციაზე) – 130 000 ლარი
- სოფელ ინწკირვეთის ცენტრის კეთილმოწყობა – 126 900 ლარი;
- სოფელ ცივაძეების „სოფლის სახლის“ მშენებლობა – 104 900 ლარი;
- სოფელ სხეფის „სოფლის სახლის“ მშენებლობა – 122 000 ლარი;
- „სოფლის სახლებისა“ და მიმდებარე ტერიტორიის (დარჩიძეების – 197 000 ლარი, ლაკლაკეთის – 164 900 ლარი, ახალდაბის – 134 000 ლარი) კეთილმოწყობა – 495 000 ლარი
- ჩირუხის მთის ცენტრის კეთილმოწყობა – 276 000 ლარი;
- გომის მთის ცენტრის კეთილმოწყობა – 176 000 ლარი;
- მუნიციპალიტეტის განვითარების გეგმის, საპროექტო სახარჯთააღრიცხვო, სარეგისტრაციო, ზედამხედველობის და ექსპერტიზის ხარჯი – 68 000 ლარი.

**ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო 41**

# ომარ ტაკიძე: „შუახევლების კეთილდღეობისთვის ბევრ სასიკეთო ნაბიჯს გადავდგამთ!“

**შუახევში დაბადებულ-გაზრდილი ომარ ტაკიძე 3 წელი მერის პირველ მოადგილედ მუშაობდა, ხოლო თითქმის ერთი წელია მერის მოვალეობას ასრულებს. ამბობს, რომ ამ ხნის განმავლობაში, შუახეველების ყველა საჭიროება და გამოწვევა კარგად შეისწავლა და ზუსტად იცის, რა ჭირდებათ ადგილობრივებს.**
**ამჯერად მერობისთვის იბრძვის. ამბობს, რომ მოსახლეობის განწყობა იმედს უნერგავს და მეტიც – არწმუნებს, რომ მომდევნო 4 წელი მერის მოვალეობის შესრულება მოუწევს.**
**„ქართული ოცნების“ შუახევის მერობის კანდიდატი ომარ ტაკიძე, ამომრჩეველს თავს უკეთ აცნობს და ტაკიძეების ოჯახის ტრადიციის შესახებაც უამბობს:**



დაიბადა 1973 წლის 10 მაისს, შუახევის სოფელ ნაღვარევში.

9 წელი სწავლობდა ნაღვარევის საშუალო სკოლაში და შემდეგ დაბა შუახევის შოთა რუსთაველის სახელობის საშუალო სკოლა დაამთავრა.

1991-1993 წლებში სწავლობდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე. 1993-1996 წლებში დაამთავრა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი – ზოგადტექნიკური დისციპლინებისა და შრომის სპეციალობით. ჩაბარებული აქვს საჯარო მოხელის გამოცდა, გავლილი აქვს თვითმმართველობის ტრენინგები, აგრეთვე საგადასახადო და ბუღალტრული აღრიცხვის კურსები.

2003-2016 წლებში ეწეოდა ინდივიდუალურ სამეწარმეო საქმიანობას. 2016-2017 წ.წ. იყო შპს „ეკონომიას“ დირექტორი. 2012-2014 წლებში ბათუმის საკრებულოს მრჩეველთა საბჭოს წევრი, 2017 წლის ნოემბრიდან, 2020 წლის 5 ოქტომბრამდე მუშაობდა შუახევის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილედ. 2020 წლის 5 ოქტომბრიდან კი დაინიშნა შუახევის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლად.

ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

– შუახევის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მაღალმთიან, ულამაზეს სოფელ ნაღვარევში, დავით ტაკიძისა და თინა ტაკიძის ოჯახში დავიბადე. დედა წლების განმავლობაში სკოლა-ინტერნატში მუშაობდა. საოცრად კეთილშობილი იყო და უზარმაზარი სითბო და სიყვარული მომცა. მამაც არაჩვეულებრივი ადამიანია. სოფელში სხვადასხვა დროს, სხვადასხვა პოზიციაზე იყო: ბიბლიოთეკარიც და კლუბის გამგეც გახლდათ, საბჭოს ბუღალტერიც. ჩემი მშობლები პატიოსნებითა და ადამიანობით არიან ცნობილი, თუმცა ჩემი ოჯახის ცნობადობას ხელი ჩვენმა ტრადიციამაც შეუწყო – ჯერ კიდევ ჩემი დიდი ბაბუა ალი ტაკიძე ცეკვავდა „ნაღვარევის ხორუმს“. ნაღვარევის ხორუმი აჭარის სხვადასხვა ხეობაში შემონახულ ხორუმებს შორის სიძველითა და ორიგინალობით გამოირჩევა.

**– ბაბუის ტრადიცია თქვენ არ გააგრძელეთ?**

– ხორუმის ტრადიცია მამამ აღადგინა თავის მეგობრებთან ერთად და მეც ვცეკვავდი. ცეკვა ძალიან დიდ როლს თამაშობს პიროვნების ჩამოყალიბებაში. ხორუმი საბრძოლო, ისტორიულ განწყობებს ასახავს. ხელი მჭიდროდ თუ არ ჩაჭიდე პარტნიორს, ხელი თუ გაუშვი, ვერ შედგება ცეკვა. ხორუმი სტაბილურ ხასიათს გიყალიბებს და გასწავლის, რომ გვერდით მდგომს უნდა უერთგულო, ერთად უნდა „იბრძოლოთ“ და ხელი თუ გაუშვი, შედეგი არ იქნება... „ნაღვარევის ხორუმმა“ საქართველოს მასშტაბით უდიდეს წარმატებას მიაღწია. არც თუ დიდი ხნის წინ, ქვანას ხეობისადმი მიძღვნილ საღამოზე ანსამბლ „ქვანას“ მიერ შესრულებულმა ნაღვარევის ხორუმმა სრული ანშლაგი გამოიწვია. სხვათაშორის, ამ ღონისძიებაში მეც ჩავერთე. საოცარი ემოცია იყო, ოჯახის ტრადიციის გადმოცემა... 9 კლასი ნაღვარევში დავამთავრე. ბაღის ასაკის ვიყავი სკოლაში მისვლა უკვე რომ მინდოდა. მეზობელი მყავდა თენგიზ ქათამაძე, ერთად ვიზრდებოდით, ერთმანეთზე ვიყავით მიჯაჭვულები. ჩემზე 1 წლით უფროსი იყო და როცა 1 სექტემბერს პირველად მიდიოდა სკოლაში, სახლიდან გავიპარე, თენგოსთან ერთად დავესწარი ღონისძიებას. ყველანი გაწკეპილები იყვნენ. მხოლოდ მე მეცვა სახლის ფორმა. ღონისძიების შემდეგ პირველკლასელები კლასში შეიყვანეს, მე კი გულდაწყვეტილი ვბრუნდებოდი სახლში. უცებ დედა შემომეგება ჩემი ახალი ტანსაცმლით ხელში. მიმხვდარა, სადაც წავედი და თავი უხერხულად რომ არ მეგრძნო, სკოლისკენ ახალი ტანსაცმლით წამოსულა. დედა ყოველთვის ხვდებოდა, რა მჭირდებოდა. ნაბოლარა, მესამე შვილი ვიყავი. ორი უფროსი და მყავს. დედა ძალიან მკაცრი იყო. დისციპლინას ბავშვობიდან გვაჩვევდა. ყველაფერი გაწერილი გვქონდა. პირველ რიგში უნდა გვესწავლა და მხოლოდ ამის მერე გვქონდა თამაშის უფლება. საოჯახო საქმეებშიც აქტიურად ვეხმარებოდით – ხვნა, თესვა, მოცელვა... ყველა საქმიანობაში ჩართული ვიყავი. ძალიან ლაღი და ბედნიერი ბავშვობა მქონდა. ჩემი თანასოფლელები დღემდე უზომოდ მიყვარს. მე-9 კლასში სასწავლებლად დაბის საშუალო სკოლაში გადავედი, სადაც მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სოფლიდან 60-მდე ბავშვი სწავლობდა. მათთან ურთიერთობა ძალიან საინტერესო და შინაარსიანი იყო. უამრავი თბილი ისტორია მახსენდება..

**– ფიზიკა-მათემატიკით რა ასაკში დაინტერესდით?**

– სოფლად სწავლის დროსვე მივხვდი, რომ ტექნიკური საგნები ძალიან მაინტერესებდა. ნიჭიც მქონდა. ფიზიკა და მათემატიკა პედაგოგებმაც შემაყვარეს, მიმართულება მომცეს.

**– პროფესიით არ გიმუშავიათ, მაგრამ სამეწარმეო საქმიანობაში გამოგადგათ მათემატიკური ალღო?**

– რა თქმა უნდა გამომადგა. პროფესიით არ მიმუშავია, რადგან ცხოვრება აეწყო სხვაგვარად. 1990-იანი წლები, მოგეხსენებათ, როგორი რთული პერიოდი იყო, ეკონომიკურად ძლიერ ოჯახში არ ვიყავი დაბადებული და უნივერსიტეტში სწავლის პარალელურად მუშაობა დავიწყე. მინდოდა დამოუკიდებლად მერჩინა თავი და ოჯახსაც მივხმარებოდი. თუ ადამიანი შრომისმოყვარე, მიზანდასახული და პატიოსანია, ყველა სიტუაციიდან იპოვის გამოსავალს. სირთულეები გავიარე. მაშინ გზის გაკვლევა არც ისე ადვილი იყო, მაგრამ სამეწარმეო საქმიანობაში წარმატებას მივაღწიე.

**– სხვადასხვა ხელისუფლების პირობებში საქმიანობდით. შეგიძლიათ შეადაროთ, როგორი ბიზნესგარემო იყო წლების წინ და როგორია დღეს?**

– სამეწარმეო საქმიანობა ჯერ კიდევ შევარდნაძის პერიოდიდან დავიწყე. მაშინ ამ სფეროში სრული ქაოსი და ყველაფერი გასაკეთებელი იყო, ნაციონალების მოსვლის შემდეგ, თითქოს პირველ ეტაპზე რაღაც სასიკეთო სიმპტომები გაჩნდა, მაგრამ შემდეგ ბიზნესის მიმართ საშინელი, უსამართლო დამოკიდებულება გამოავლინეს და ზეწოლა განახორციელეს. 2012 წლის შემდეგ მკვეთრად შეიცვალა დამოკიდებულება. ბიზნესი გათავისუფლდა. კარგი გარემო შეიქმნა საქმიანობისთვის და მეტიც, ხელისუფლებამ იმაზეც იფიქრა, როგორ შეუწყოს ხელი მეწარმეებს. ამის მაგალითი, არაერთი სახელმწიფო პროგრამა, მოქნილი საგადასახადო სისტემაა.



**– საჯარო მოხელის გამოცდა გაქვთ ჩაბარებული. როგორი უნდა იყოს კარგი საჯარო მოხელე და რამდენად თავისუფალია დღეს ის, თუნდაც პოლიტიკურ არჩევანში?**

– გამოცდა საკმაოდ მაღალი მაჩვენებლით ჩავაბარე. საჯარო მოხელეობა უზარმაზარი პასუხისმგებლობაა. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ 2012 წლის შემდეგ საჯარო მოხელე თავისუფალია თუნდაც იმ კუთხით, რომ პოლიტიკური შეხედულებების გამო არავინ გაათავისუფლებს სამსახურიდან. საჯარო მოხელე მუდმივად უნდა მუშაობდეს საკუთარ თავზე, ვითარდებოდეს, ყოველდღიურად უნდა იღრმავებდეს ცოდნას, რათა ხვალ, უკეთესი შედეგი აჩვენოს.

**– არასდროს ყოფილხართ არც ერთ პარტიაში. „ქართული ოცნების“ გუნდს რატომ შეუერთდით?**

– დიახ, არც ერთი წინა ხელისუფლების დროს არ გამჩენია სურვილი, გავმხდარიყავი რომელიმე პარტიის წევრი. პოლიტიკაში „ქართული ოცნების“ მოსვლის დღიდან მივხვდი, რომ ჩემთვის მისაღები იყო ამ პარტიის ღირებულებები და ამიტომ მის გვერდით დავდექი. ჩემთვის მნიშვნელოვანია, რომ ამ პარტიისთვის, მთავარი ღირებულება ადამიანი, მისი უფლებები და თავისუფლებაა. 2012 წლიდანვე „ქართული ოცნების“ აქტიური მხარდამჭერი ვარ.

**– 2017 წლიდან კი, შუახევის მერის პირველი მოადგილე ხართ. ნაყოფიერი იყო ამ თანამდებობაზე თქვენი მუშაობა?**

– მეამაყება, რომ ძალიან ღირსეული ადამიანის მოადგილე ვიყავი. ფრიდონ ფუტკარაძესთან ერთად უმნიშვნელოვანესი პერიოდი გავიარე. თანამდებობაზე მოსვლის პირველივე წუთიდან მაქსიმალურად ვიხარჯებოდით ყველა იმ საკითხის გადასაწყვეტად, რაც ჩვენი მუნიციპალიტეტისთვის იყო მნიშვნელოვანი. ბევრი ამბიციური პროექტი განვახორციელეთ. მაგალითად, დაბა შუახევის განვითარების პროექტი. პარალელურად დავიწყეთ ადმინისტრაციული ერთეულების კეთილმოწყობა. დიდ ყურადღებას ვაქცევდით როგორც საგზაო ინფრასტრუქტურის, ისე წყალმომარაგების მიმართულებებს სოფლებსა თუ დაბაში. აჭარის მთავრობის დახმარებითა და მხარში დგომით შევიმუშავეთ საკმაოდ ამბიციური პროექტები, რომლებიც უკვე რელსებზე დგას. შემიძლია გამოვყო ჩირუხის მთაზე ზიპლაინის პროექტი, რომელიც ევროპაში ყველაზე გრძელი იქნება და მისი სიგრძე 1750 მეტრია. ასევე – ჭანის „წისქვილების სოფელი“. არის სხვა მნიშვნელოვანი პროექტები, რომელთა თანამონაწილეც ვიყავით. ასევე, სიამაყით უნდა აღვნიშნო, რომ დაბაში ვაშენებთ მოსწავლე ახალგაზრდობის სახლს. თანამედროვე სტანდარტების სტადიონი არასდროს ქონია შუახევის მუნიციპალიტეტს, ტენდერი გამოცხადებულია და ორი მილიონი ლარია გამოყოფილი. მიხარია, რომ შევძელით ამ პროექტის დაწყება. მნიშვნელოვანია კულტურის სახლის რეაბილიტაცია, რომელიც პრემიერის დახმარებით ხორციელდება და მილიონ 200 ათასი ლარი დაიხარჯება. ეს ყველაფერი და სხვა კიდევ ბევრი რამ გაკეთდა პანდემიის პერიოდში. კოვიდ 19 მთელი მსოფლიოსთვის არის გამოწვევა. მიუხედავად ამისა, ჩვენ მას, ვფიქრობ ეფექტურად ვუპასუხეთ. წლის დასაწყისში, პანდემიიდან გამომდინარე მივიღეთ გადაწყვეტილება და 3 ახალი პროგრამა ავამოქმედეთ ჯანდაცვისა და სოციალური კუთხით, რამაც ჩვენ მოწყვლად ჯგუფებს შვება მისცა. არაერთ მოქალაქეს დავეხმარეთ. ვფიქრობ, მაქსიმუმი გავაკეთეთ პანდემიის ეფექტურად სამართავად.

**– მაქსიმუმი იმისთვისაც გაკეთდა, რომ ბავშვებს დისტანციური სწავლებისას არ შექმნოდათ პრობლემები? ინტერნეტი არის მუნიციპალიტეტის ყველა სოფელში?**

– თავიდან, როცა დისტანციურ სწავლებაზე გადავედით, გამოგიტყდებით, ხარვეზები გვქონდა. არის სოფლები, ან უბნები სოფლებში, სადაც ინტერნეტი არ არის. გუნდთან ერთად ვმუშაობთ, რომ ეს გამოწვევა დავძლიოთ. სრული ინტერნეტიზაცია აუცილებლად მოხდება.

**– კიდევ რა გამოწვევებია დღეს შუახევში და თქვენ რა გეგმები გაქვთ მშობლიურ მუნიციპალიტეტთან დაკავშირებით?**

– არასრული 4-წლიანი მუშაობის პერიოდში, შევისწავლე თითქმის ყველა სოფელი და უბანი. ზეპირად ვიცი შუახეველების ყველა გამოწვევა და საჭიროება. მთავარი გამოწვევა კვლავ საგზაო ინფრასტრუქტურის ბოლომდე მოწესრიგებაა. სამუშაოები მიმდინარეობს, მაგრამ ყველა უბანში, ყველა მაცხოვრებელთან უნდა იყოს კარგი გზა. წყალმომარაგების კუთხით ბევრი რამ გაკეთდა და ძალიან თანმიმდევრული მიდგომა გვაქვს, რომ ყოველი მოსახლე სასმელი წყლით 24-საათის განმავლობაში იყოს უზრუნველყოფილი. მნიშვნელოვანია, რომ არსებობს სოფლის განვითარების საბჭო. აჭარის ყველა სამინისტროა ჩართული და მუნიციპალიტეტთან ერთად მიდის მსჯელობა, რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას, რომ საბოლოოდ მივიღოთ ევროპული დონის სოფელი, სადაც ყველას ექნება ცხოვრების სურვილი. ამისთვის, აუცილებელია ტურისტული ამბიციური პროექტების განვითარება. ტურისტული მიზიდულობის კერების გაჩენა იძლევა საშუალებას, მეტი ვიზიტორი შემოვიდეს ხეობებში. მათი შემოსვლა კი კავშირშია ჩვენ განვითარებასთან. ადამიანებმა სხვადასხვა სიკეთე შეიძლება ნახონ, გახსნან საოჯახო სასტუმროები, კვების ობიექტები და სხვა. მომდევნო 4 წელიწადში შუახეველების კეთილდღეობისთვის ბევრ სასიკეთო ნაბიჯს გადავდგამთ.

**– ანუ, გამარჯვებაში დარწმუნებული ხართ?**

– დარწმუნებული ვარ, შუახევში სამართლიანი, დემოკრატიული არჩევნები მშვიდ ვითარებაში ჩატარდება. იმაშიც დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი გუნდი გაიმარჯვებს და მეც გავიმარჯვებ, თანაც მაღალი და დამაჯერებელი შედეგით. ზოგადად, ვგრძნობ ხალხის განწყობას, დამოკიდებულებას ჩემი და „ქართული ოცნების“ მიმართ. ეს მაძლევს რწმენას, რომ გამარჯვება ძალიან ღირსეული იქნება და ასევე ღირსეულად ვიშრომებთ მომდევნო 4 წელი ჩვენი შუახევის კიდევ უფრო სწრაფი განვითარებისათვის.




# ომარ ტაკიძის ბედნიერების საიდუმლო

მე-9 კლასის შემდეგ საყვარელი სოფელ ნაღვარევის სკოლიდან დაბა შუახევის სკოლაში გადასვლა ომარ ტაკიძისთვის საბედისწერო აღმოჩნდა. აქ გაიცნო ხათუნა დუმბაძე, რომელიც წლების შემდეგ მისი მეუღლე გახდა. დღევანდელი გადასახედიდან როცა აფასებს, აღიარებს, რომ საკმაოდ ადრე დაიდგა ოჯახის უღელი. 20 წლის ასაკში უკვე დაქორწინებული იყო, „მაგრამ რა ვქნა, მოხდა ისე, რომ უზომოდ შემიყვარდა ერთი გოგო და დაოჯახება გადავწყვიტე“, – იხსენებს ბატონი ომარი და გვიმხელს, რომ ბედნიერია, რადგან არჩევანში არ შეცდა. ამჟამად, ქალბატონი ხათუნა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში აღმზრდელ-პედაგოგად მუშაობს.

3 ქალიშვილი ჰყავთ: 27 წლის ნინო, 26 წლის თამარი და 8 წლის მარიამი. ნინომ საბანკო საქმე – ფინანსები დაამთავრა და ბანკში მუშაობს ერთ-ერთ წამყვან პოზიციაზე. კანდიდატს უხარია, რომ მან დამოუკიდებლად გაიკვალა გზა და წარმატებას მიაღწია თამარმა ტურიზმის სფერო აირჩია და უკვე მაგისტრატურაც დაამთავრა. თამარი ძალიან ბევრს მუშაობს ტურიზმის საკითხების შესწავლაზე. საკურსოებიც ზემომთიან აჭარაში ტურიზმის განვითარების თემაზე დაწერა. სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვა მიმართულებით მუშაობდა, დღეს კი, ერთ-ერთ მსხვილ კომპანიაში მუშაობს. მარიამი საოცარი ბავშვია – ერთი გამოხედვით შეუძლია „მამიკოს მონუსხვა“. ძალიან ყოჩაღი გოგონაა, კარგად სწავლობს, მღერის, ფანდურზე უკრავს. რამდენიმე სატელევიზიო ჩაწერაც ჰქონდა და კონცერტიც.

ძალიან უყვართ ბუნებაში გასეირნება. ამბობს, რომ მათთვის ეს განტვირთვის ყველაზე კარგი საშუალებაა, რადგან ბუნება საოცრად დადებითი ენერგეტიკით მუხტავთ. გული სწყდება, რომ ამისთვის ბოლო პერიოდში იშვიათად იცლის, მაგრამ რადგან საპირწონე შუახევის მუნიციპალიტეტის განვითარებაზე ზრუნვაა, არ დარდობს. უხარია, რომ ოჯახი მის გადაწყვეტილებას, იბრძოლოს შუახევის მერობისთვის, დადებითად შეხვდა და მხარდაჭერა გამოუცხადა. განსაკუთრებულად ემადლიერება მეუღლეს, რომელიც მისი მთავარი გულშემატკივარია. ამბობს, რომ ქალბატონი ხათუნას თანადგომის გარეშე, ვერც ამ გადაწყვეტილებას მიიღებდა და ბოლო 4 წელი, ვერც მერიაში იმუშავებდა წარმატებულად. მეუღლეზე და შვილებზე ისეთი ემოციით საუბრობდა, ვკითხე, თქვენი ბედნიერების საიდუმლო რა არის-მეთქი. გამანდო: „ერთად ფიქრი, ერთიანი ემოცია, ერთად ზრუნვა ყველა იმ ღირებულებაზე რაც გვაერთიანებს, ყურადღება და რაც მთავარია – სიყვარული!“



# ჯანმრთელობის დაცვა

**„ქართული ოცნებისთვის“ უმთავრესი ღირებულება არის ადამიანი, ხოლო საქმიანობის უმნიშვნელოვანესი პრინციპი – ადამიანზე, მის ღირსებაზე, სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე ზრუნვა. ხარისხიანი და საყოველთაოდ ხელმისაწვდომი, სოციალური სამართლიანობის პრინციპზე დაფუძნებული ჯანმრთელობის დაცვის სისტემის შენარჩუნება და შემდგომი განვითარება „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია.**

2012 წლის შემდეგ უპრეცედენტოდ, 4,5-ჯერ გაიზარდა ჯანდაცვის დაფინანსება. 2013 წელს **საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის** ამოქმედებით, „ქართულმა ოცნებამ“ საფუძველი ჩაუყარა ჯანდაცვის ხარისხიან სერვისებზე უნივერსალურ ხელმისაწვდომობას. 2017 წლიდან განისაზღვრა ბენეფიციარების შემოსავლების მიხედვით დიფერენციაციის ახალი კრიტერიუმები. შედეგად, 40%-დან 99.9%-მდე გაიზარდა მოსახლეობის სერვისებით მოცვა, დაფინანსდა 8,6 მლნ-ზე მეტი შემთხვევა (2,8 მლნ ბენეფიციარი), რაზეც 4,6 მლრდ ლარზე მეტი გამოიყო. 2013-2020 წლებში, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, შუახევის მუნიციპალიტეტზე, გამოყოფილია 18 475 795 ლარი, დაფინანსდა 41 858 შემთხვევა, მათ შორის: **გეგმური ამბულატორიული (**536 468 ლარით 43 903 ბენეფიციარი), **გადაუდებელი ამბულატორიული** (2 416 268 ლარით, 26 853 შემთხვევა), **გადაუდებელი სტაციონარული** (9 630 772 ლარით 7 553 შემთხვევა), **გეგმური ქირურგიული** (30 309 170 ლარით, 3 421 შემთხვევა), **მშობიარობა და საკეისრო კვეთა** (1 087 038 ლარით, 1 858 შემთხვევა) და **ქიმიო, ჰორმონო და სხივური თერაპია** (689 050 ლარი 958 შემთხვევა). **გაიზარდა ონკოლოგიური პაციენტების ქიმიოთერაპია/სხივური თერაპიის კომპონენტში არსებული ლიმიტი 8 000 ლარის ოდენობით.**

**ქრონიკული დაავადების მქონე მოწყვლადი ჯგუფებისთვის მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის პროგრამა** ამოქმედდა სოციალურად დაუცველი პირების (სარეიტინგო ქულა 100 ათასამდე), საპენსიო ასაკის მოქალაქეებისა და შშმ ბავშვებისთვის, ვეტერანებისა და გამყოფი ხაზის სოფლების მოსახლეობისთვის. 2017-2021 წლებში (ივლისის მდგომ.), პროგრამით, **შუახევის მუნიციპალიტეტში,** დაფინანსდა 4 101 ბენეფიციარი (323 927 ლარი).

2012 წლის შემდეგ, 3,4-ჯერ – 29,0 მილიონი ლარიდან 100,7 მილიონ ლარამდე გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან **საზოგადოებრივი ჯანდაცვის დაფინანსება,** მათ შორის, უპრეცედენტოდ, 7-ჯერ გაიზარდა **იმუნიზაციის პროგრამის ბიუჯეტი** (24.1 მლნ ლარი შეადგინა). სახელმწიფო უზრუნველყოფს 13 დაავადების პრევენციას, წარმატებით დაინერგა 5 ახალი ვაქცინა. **მუნიციპალიტეტში** იმუნიზაციით მიზნობრივი ჯგუფის მოცვის მაჩვენებელი 2020 წელს 95.3% იყო. ტუბერკულოზის ეროვნული პროგრამით განხორციელებული ღონისძიებების შედეგად, შემცირდა ტუბერკულოზის გავრცელება. 2013 წლის შემდეგ, პროგრამით შუახევში 103-მა პაციენტმა ისარგებლა სტაციონარული მკურნალობით (213 022 ლარი), ხოლო ამბულატორიული მომსახურებით 2 109 პაციენტმა (156 156 ლარი). **დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის სფეროში** ხელისუფლების მხრიდან გატარებული თანმიმდევრული პოლიტიკის შედეგად, 2017 წელს დაფიქსირდა დედათა სიკვდილობის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი, წინა წლებთან შედარებით (13.1/100 000 ცოცხალშობილზე). 2018 წლიდან 8-მდე გაიზარდა ვიზიტების რაოდენობა ორსულთათვის. 2014 წლიდან ყველა ორსული უზრუნველყოფილია ფოლიუმის მჟავითა და რკინის პრეპარატით. 2013-2020 წლებში, 2013-2020 წლებში, შუახევის მუნიციპალიტეტში, ანტენატალური სერვისი მიიღო 30 304-მა ორსულმა (192 864 ლ), მედიკამენტებით – 713-მა.

2015 წლიდან საქართველოში, მსოფლიოში პირველად, დაიწყო **C ჰეპატიტის ელიმინაციის (აღმოფხვრის) პროგრამა** (21,7 მლნ ლარი). პროგრამა მოიცავს საქართველოს მოქალაქეებისათვის უფასო სკრინინგს, დაავადების დიაგნოსტიკასა და კომპანია „გილეადის“ დაფინანსებით C ჰეპატიტით დაავადებული პაციენტების უფასო მკურნალობას უახლესი თაობის ძვირადღირებული მედიკამენტებით. პროგრამის დაწყებიდან 2021 წლის 1 მაისამდე, გამოკვლეულია 2,3 მლნ ბენეფიციარი, მკურნალობაში ჩაერთო 74 ათასზე მეტი და დაასრულა 70 ათასზე მეტმა პირმა, მიღწეულია უპრეცედენტო შედეგი – სრულად განიკურნა დაავადებულთა 98,9%, გადარჩა 68 ათასი ადამიანის სიცოცხლე. საქართველო C-ჰეპატიტთან ბრძოლაში გლობალურ ლიდერადაა აღიარებული. **შუახევის მუნიციპალიტეტიდან მკურნალობასა და სადიაგნოსტიკო კვლევებში ჩართული იყო 162 პირი (34 459 ლ).**

2012 წლის შემდეგ, **შუახევის** მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის მნიშვნელოვნად გაიზარდა **სამედიცინო მომსახურების დაფინანსება პრიორიტეტულ სფეროებში,** მათ შორის: ფსიქიკური ჯანმრთელობის, დიაბეტის მართვის, დიალიზის და თირკმლის ტრანსპლანტაციის, იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობის, პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის, რეფერალური მომსახურების პროგრამების დაფინანსება. **რეფერალური მომსახურების პროგრამის განვითარების შედეგად,** გაიზარდა სტიქიური უბედურებების, კატასტროფების, საგანგებო სიტუაციების, კონფლიქტურ რეგიონებში დაზარალებულ მოქალაქეთა და საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული სხვა შემთხვევების დროს მოსახლეობის სამედიცინო დახმარების მიწოდება. **შუახევში**, 2013-2021 წლებში სულ 138 შემთხვევა 1 203 314 ლარით დაფინანსდა.

**2013 წლიდან ხორციელდება პირველადი ჯანდაცვის განახლებული ქსელის მოწყობა.** პირველადი ჯანდაცვისა და სოფლის ექიმის როლის გაძლიერების მიზნით, 2014 წლიდან სახელმწიფოს სრული კომპეტენცია გახდა **„სოფლის ექიმის“ პროგრამის** მართვა. 2014 წლის მაისიდან 30%-ით გაიზარდა **სოფლის ექიმებისა და ექთნების ხელფასი;** 2019 წელს „სოფლის ექიმის“ სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე სოფლის ექიმები/ექთნები გადავიდნენ სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის მართვაში, სახელმწიფო აფინანსებს მათი საქმიანობისათვის აუცილებელ ხარჯებს. მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკურ პირად დარეგისტრირების შემთხვევაში, სოფლის ექიმები/ექთნები თავისუფლდებიან საშემოსავლო გადასახადისგან. **შუახევის მუნიციპალიტეტს 22 სოფლის ექიმი და ექთანი ემსახურება.**

2013 წელთან შედარებით **6,2-ჯერ გაიზარდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დაფინანსება.** 2020 წელს ჯანმრთელობის დაცვის ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 437,1 ათასი ლარი შეადგინა, 2013 წლის შესაბამისი მაჩვენებელი კი 70,4 ათასი ლარი იყო. შუახევში, 2012-2021 წლებში განხორციელდა/ხორციელდება **7 მუნიციპალური პროგრამა.** მათ შორის: შუახევის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ დიალიზით დაავადებულ მოქალაქეთა ტრანსპორტირების ხარჯით უზრუნველყოფის პროგრამა, თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურების მიზნობრივი პროგრამა ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისთვის, მოვლის საჭიროების მქონე შშმ პირებისა (ეტლით მოსარგებლე) და ხანგრძლივ მკურნალობას დაქვემდებარებული (საწოლს მიჯაჭვული) ბენეფიციარებისთვის ფინანსური დახმარება და სხვ.

**ხარისხიანი და ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურების უზრუნველსაყოფად:**

- გაიზრდება მოსახლეობის ხელმისაწვდომობა ჯანმრთელობის დაცვის ხარისხიან სერვისებსა და სამკურნალო საშუალებებზე;
- გაიზრდება ჯანმრთელობის დაცვის სფეროში დასაქმებული პერსონალის შრომის ანაზღაურება და უწყვეტ განათლებაზე ხელმისაწვდომობა;
- საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, კვლავ უზრუნველყოფილი იქნება სამედიცინო სერვისების ფინანსური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა, მიზნობრივი ჯგუფები უზრუნველყოფილი იქნებიან შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით და სამკურნალო მედიკამენტებით;
- განხორციელდება ეფექტიანი სახელმწიფო პროგრამები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და პრიორიტეტულ სფეროებში მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების მისაწოდებლად;
- გაიზრდება ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიზნობრიობა და ეფექტიანობა ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით;
- განხორციელდება ჯანდაცვის სფეროს უმთავრესი პრიორიტეტის – პირველადი ჯანდაცვის სისტემის რეფორმის მომდევნო ეტაპი. გაიზრდება სისტემის „მეკარიბჭის“ ფუნქცია – უზრუნველყოფილი იქნება მოსახლეობის ავადობის ადრეული გამოვლენა და შეკავება;
- გაიზრდება სოფლის ექიმისა და ოჯახის ექიმის როლი და მნიშვნელობა;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დაფინანსება;
- დაიხვეწება და გაფართოვდება ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური პროგრამები;
- მუნიციპალიტეტი ხელს შეუწყობს დაავადებულთა სასიცოცხლო მნიშვნელობის მკურნალობის ჩატარებას;
- მუნიციპალიტეტი განახორციელებს მის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ჯანმრთელობაზე მეთვალყურეობას და ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების ქმედით მონიტორინგს და მათზე რეაგირებას.
- 2021 წლიდან იგეგმება სამედიცინო მომსახურების პროგრამით ქირურგიული მომსახურების განხორციელება სარეიტინგო ქულის გარეშე.



შუახევის ჰოსპიტალი

# სოციალური დაცვა

**წლის შემდეგ, 2,7-ჯერ – 1,7 მილიარდიდან 4,7 მილიარდ ლარამდე გაიზარდა სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება.**

**2012 წლის შემდეგ, ეტაპობრივად გაიზარდა სახელმწიფო პენსიის ოდენობები:** 2012 წლისათვის **საპენსიო ასაკის პირთა პენსია** 100 ლარი იყო, 2020 წლის იანვრიდან 2,2-ჯერ მეტი – 220 ლარი, **70 წლის და მეტი ასაკის მოქალაქეთა პენსია** – 250 ლარი; 2021 წლიდან პენსიის ოდენობა 240 ლარით განისაზღვრა, 70 წელს გადაცილებულთა კი – 275 ლარით. 2016 წლიდან განისაზღვრა პენსიის დანამატი **მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეებისათვის**, რაც შეადგენს ასაკით პენსიის ოდენობის 20%-ს (264 ლარის ნაცვლად 288 ლარი, ხოლო მთაში მცხოვრები 70 წლის და მეტი ასაკის პენსიონერი – 330 ლარი). დანამატს იღებენ მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები სოციალური პაკეტის მიმღები პირები (დანამატი – სოციალური პაკეტის 20%). 2017 წლის იანვრიდან გათვალისწინებულია მაღალმთიანი აბონენტის (საყოფაცხოვრებო მომხმარებლის) მიერ მაღალმთიან დასახლებაში მოხმარებული ელენერგიის ყოველთვიური საფასურის 50%-ის ანაზღაურება (არა უმეტეს 100 კვტ/სთ). **შუახევის მუნიციპალიტეტში,** სახელმწიფო პენსიის მიმღებია (01.04.2021 წ. მდგომ.) 2992 პირი. 2012 წლის შემდეგ, 2,2-ჯერ – 3 839 715-დან 8 305 001 ლარამდე გაიზარდა პენსიების ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯი. 2013-2021 წ.წ. სულ 53 151 545 ლარი დაიხარჯა. **სახელმწიფოს წინაშე განსაკუთრებული სამსახურის** გავლის, აგრეთვე ამ პირთა მიერ შესაბამისი ასაკის მიღწევის, **შესაძლებლობის შეზღუდვის** და **გარდაცვალების გამო** გასაცემი კომპენსაციის ოდენობა. **შუახევში** სახელმწიფო კომპენსაციის მიმღები (01.04. 2021 მდგომ.) 54 პირია. 2012 წლის შემდეგ, კომპენსაციებზე გაწეული ხარჯი 4-ჯერ – 57 099-დან 225 003 ლარამდე გაიზარდა, 2013-2021 წლებში სულ სახელმწიფო კომპენსაციებზე 1 425 235 ლარი გაიცა.

**მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარების პროგრამის ფარგლებში,** სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახები უზრუნველყოფილნი არიან მიზნობრივი სოციალური დახმარებით – საარსებო შემწეობით. პროგრამით ასევე გაიცემა: ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ახალშობილის შვილადაყვანის გამო დახმარების, ლტოლვილთა და დევნილთათვის შემწეობების, შრომითი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურება და სხვ. შემწეობები. **შუახევის მუნიციპალიტეტში** სოციალური დახმარებით უზრუნველყოფილი **სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი** 968 ოჯახია (01.04.2021 წ. მდგომ). 2012 წლის შემდეგ, 2,3-ჯერ – 1 075 ათასი 2 497 ათას ლარამდე გაიზარდა საარსებო შემწეობებზე გაწეული ხარჯი. 2013-2021 წლებში, **საარსებო შემწეობაზე** სულ დაიხარჯა 17 171 ათასი ლარი, მათ შორის პენსიონრებზე – 2601 ათასი, შშმ პირებზე – 2 034 ათასი, ბავშვებზე – 6 848 ათასი ლარი. **შშმ პირები, მარჩენალდაკარგულები და სხვა სოციალურ კატეგორიებს მიკუთვნებულ პირთა წრე** ყოველთვიურად უზრუნველყოფილია სოციალური პაკეტით – შუახევში, სოციალური პაკეტით სარგებლობს 1296 მიზნობრივი ჯგუფი (01.04.2021 წ. მდგომ.), 2012 წლის შემდეგ, გაწეული ხარჯი 6,5-ჯერ – 393 981-დან 2 542 509 ლარამდე გაიზარდა. 2013-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 16 242 226 ლარი. **დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის პროგრამით** (მესამე და მომდევნო ბავშვი) შუახევში, დაფინანსებულია 246 ბენეფიციარი (1.04,2021 წ. მდგომ.), 2016-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 1 869 200 ლარი, მათ შორის, 2020 წელს – 402 800 ლარი.



**ახალი კორონავირუსის გლობალურ გამოწვევასთან სწრაფად და ეფექტიანად გამკლავების მიზნით, სოციალური დაცვის მიმართულებით გატარდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები, კერძოდ:** სახელმწიფო გასაცემლების უწყვეტად გაცემა, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის იურიდიული ძალის შენარჩუნება და სოციალური პაკეტის უწყვეტად გაგრძელება, იანვრიდან შეჩერებული საარსებო შემწეობების განახლება და საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახებისთვის ფულადი დახმარების გაცემის უწყვეტობის უზრუნველყოფა და სხვ. **ახალი კორონავირუსით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, მოსახლეობის სოციალური დახმარების მიზნით,** 2020-2021 წ.წ, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყო 193 014 865 ლარი, აქედან შუახევის მუნიციპალიტეტზე – 1 995 475 ლარი. **სახელმწიფო დახმარების მიღების უფლება 6 თვის ვადით მოიპოვეს:** სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულმა (65001-100000 ქულა) ოჯახებმა, წევრთა რაოდენობის შესაბამისად **(1-წევრიანი – 70 ლ; 2-წევრიანი – 90 ლ; 3 და მეტი წევრი, თითოეულზე – 35 ლ).** პროგრამაში, 2020 წელს მუნიციპალიტეტში ჩართული იყო 717 ოჯახი, 2021 წელს – 822. **ყოველთვიური დახმარება, თვეში 100 ლარის ოდენობით,** განისაზღვრა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული 100 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებისთვისაც, რომელთაც ჰყავთ 3 ან მეტი 16 წლის ჩათვლით ასაკის შვილი. პროგრამით, შუახევში, 2020 წელს ისარგებლა 229 ოჯახმა, 2021 წელს (ივნისის მონაცემებით) – 241-მა. **მკვეთრად გამოხატული შშმ პირებისა და 18 წლამდე შშმ ბავშვებისთვის,** სოციალური პაკეტით დახმარებასთან ერთად, დამატებით გამოიყო 100 ლარი (6 თვით), შუახევში, პროგრამაში 2020 წ. ჩაერთო 398 პირი, 2021 წ. – 411 (ივნისის მდგომარეობით).

**„ახალი კორონავირუსით (SARS-COV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) შედეგად მიყენებული ზიანის შემსუბუქების მიზნობრივი, სახელმწიფო პროგრამის** დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 მაისის №286 დადგენილების თანახმად, სსიპ დასაქმების სახელწიფო სააგენტო განისაზღვრა პროგრამის ერთ-ერთ განმახორციელებლ უწყებად. სააგენტოს დაევალა კომპენსაციების გაცემა იმ დასაქმებულ/თვითდასაქმებულთათვის, ვინც პანდემიის შედეგად სამსახური ან შემოსავალი დაკარგა. **დაქირავებით დასაქმებულებისთვის კომპენსაციის ოდენობა თვეში 200 ლარი 6 თვით,** გაიცა ორ ეტაპად: I ეტაპი – 2020 წლის მაისიდან დაიწყო და 162 271-მა პირმა მიიღო 131 237 800 ლარი; II ეტაპი – 2021 წლის იანვრიდან 157 638-მა პირმა მიიღო 141 947 400 ლარი. არაფორმალური თვითდასაქმებულების იდენტიფიცირებისა და მათთის ერთჯერადი კომპენსაციების გაცემის მიზნით, შეიქმნა უწყებათაშორისი კომისია, ხოლო სააგენტომ შეასრულა კომისიის სამუშაო ჯგუფის ფუნქციები. **ერთჯერადი 300-ლარიანი კომპენსაცია** მიიღო 248 867-მა ფორმალურმა და არაფორმალურმა თვითდასაქმებულმა, ჯამში გადაირიცხა 74 660 000 ლარი. 2020 წლის 4 დეკემბრიდან დაიწყო ერთჯერადი, 300-ლარიანი კომპენსაციების გაცემის მეორე ტალღა იმ პირებისთვის, ვისაც შეეხო შეზღუდვები, დაკარგეს შემოსავალი ან შეუჩერდათ ეკონომიკური საქმიანობა – 121 634 პირზე ჯამში გადაირიცხა 36 490 200 ლარი.

**დაქირავებით დასაქმებულებისთვის, რომლებმაც დაკარგეს სამსახური ან იყვნენ უხელფასო შვებულებაში, დაწესდა ფინანსური დახმარება 1200-ლარიანი კომპენსაციის სახით** (6 თვე თვეში – 200-200 ლ). ახალი კორონავირუსით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, მოსახლეობის სოციალური დახმარების მიზნით, 2020 წ. კომპენსაცია ჯამში მიიღო 162 271-მა ერთეულმა პირმა (131 237 800 ლ), 2021 წელს ჯამში გაიცა 141 909 200 ლარის კომპენსაცია.

2013 წელთან შედარებით **3,9-ჯერ გაიზარდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება.** 2020 წელს სოციალური დაცვის ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 919,7 ათასი ლარი შეადგინა, 2013 წლის შესაბამისი მაჩვენებელი კი 236,3 ათასი ლარი იყო.

**შუახევში, 2014-2020 წლებში, მუნიციპალიტეტის მიერ სოციალური დაცვის სფეროში ხორციელდება არაერთი მნიშვნელოვანი პროგრამა.** მათ შორის: სოციალურად დაუცველი ფენისათვის ყოველდღიური ერთჯერადი უფასო კვების უზრუნველყოფის პროგრამა, 18 წლამდე ასაკის დედ-მამით ობოლ ბავშვებზე ყოველთვიური მატერიალური დახმარების პროგრამა, 4 და მეტი მცირეწლოვან (18 წლამდე) ასაკის ბავშვთა ოჯახებზე ერთჯერადი ფინანსური დახმარების პროგრამა, უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახებზე საცხოვრებელი სახლების შესყიდვის პროგრამა, 18 წლამდე ასაკის ბავშვებზე სპეციფიკური-სამკურნალო პროდუქტების შეძენისთვის ფინანსური დახმარების მიზნობრივი პროგრამა, საცხოვრებელ სახლებზე ამორტიზირებული სახურავების შეცვლის მიზნობრივი პროგრამა, შუახევის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ ვეტერანთა დახმარების პროგრამა და სხვ.

## ინფრასტრუქტურა

**2014-2020 წლებში, შუახევის მუნიციპალიტეტში, განხორციელდა/მიმდინარეობს შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები:** ამბულატორიების რეაბილიტაცია/რემონტი სოფლებში: ხიჭაური (11 000 ლარი), წყალსაყარი (36 000), დღვანი (42 000l).

**სამართლიანი, გამჭვირვალე და ეფექტიანი სოციალური დაცვის სისტემის ფუნქციონირების, სიღატაკის დაძლევისა და სიღარიბის შემცირების, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესებისა და დასაქმების უზრუნველყოფის მიზნით:**

- შეიქმნება მდგრადი, ეფექტიანი, კოორდინირებული სოციალური დაცვის სისტემის საკანონმდებლო გარანტიები;
- გაუმჯობესდება სოციალური დაცვის მექანიზმები, ყოველი მოქალაქის სხვადასხვა სოციალური რისკებისაგან დაცვის მიზნით;
- გაუმჯობესდება დასაქმებისა და სოციალური გასაცემლების სისტემა;
- გაიზრდება სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების ხარისხი და ხელმისაწვდომობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად;
- მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი ოჯახები კვლავ უზრუნველყოფილი იქნებიან საარსებო შემწეობით;
- გაგრძელდება მიზნობრივი ჯგუფებისათვის სოციალური პაკეტის გაცემა;
- გაგრძელდება დემოგრაფიული მდგომარეობის ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება;
- გაიზრდება სოციალური დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიზნობრიობა და ეფექტიანობა ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება;
- დაიხვეწება და გაფართოვდება სოციალური სფეროს მუნიციპალური პროგრამები; მუნიციპალურ პროგრამას დაემატება ახალი პროგრამა – ჰიგიენური საჭიროებების მქონე ბენეფიციარებისთვის, რომლებიც საწოლს არიან მიჯაჭვული, ყოველთვიური ფინანსური დახმარება.

ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო 41

# განათლება

**განათლების სისტემის განვითარება „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია. 2012 წლის შემდეგ, საქართველოში განხორციელდა ფუნდამენტური სისტემური ცვლილებები მაღალი ხარისხის განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. მათ შორის, შეიქმნა განათლების სისტემის ფინანსური მდგრადობის უზრუნველმყოფი საკანონმდებლო გარანტიები, დაიხვეწა ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სისტემის მარეგულირებელი კანონმდებლობა, დადგინდა და დაინერგა ძირითადი სტანდარტები.**



ახალი სასწავლო წლიდან, სოფელ ჯაბნიძეებში თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ბაგა-ბაღი გაიხსნება

განათლებისა და მეცნიერების სფეროში გადადგმული თითოეული ნაბიჯი გრძელვადიან პერსპექტივაზეა გათვლილი. ამის დასტურია ის, რომ **2012 წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად, 2,5-ჯერ გაიზარდა განათლებისა და მეცნიერების დაფინანსება. 4-ჯერ გაიზარდა სკოლამდელი განათლების, თითქმის 2-ჯერ – ზოგადი განათლების, 5,3-ჯერ – პროფესიული განათლების და 2-ჯერ – უმაღლესი განათლების ბიუჯეტი. მასწავლებლის საბაზო ხელფასის ზრდამ – 65%, ხოლო საშუალო ხელფასის – 120%-შეადგინა. 600 000-მდე მოსწავლე უზრუნველყოფილია სასკოლო სახელმძღვანელოებით.** 2019 წლის 1 ოქტომბრიდან დაიწყო საჯარო სკოლებისა და საბავშვო ბაღების პედაგოგთა ხელფასების ზრდა და ეს პროცესი მომდევნო წლებშიც გაგრძელდება.

2013-2020 წლებში, საქართველოში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა **მშენებლობა-რეაბლიტაციისა და აღჭურვის** მიზნით 427 მლნ 789,3 ათასი ლარი დაიხარჯა. მათ შორის, 2017-2020 წლებში – 289 მლნ 137,8 ათასი ლარი.

**2012-2020 წ.წ. დასრულებულია 68 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა,** ამ ეტაპზე მიმდინარეობს 4 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, დასრულებულია 140-მდე სკოლის **სრული რეაბილიტაცია**, მათ შორის „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოსა“ და სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ სრულად რეაბილიტირდა 91 საჯარო სკოლა, ნაწილობრივ სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 1300-ზე მეტ საჯარო სკოლის შენობას.

**2017-2020 წლებში დასრულებულია 42 საჯარო სკოლის (მათ შორის, 19 მცირეკონტინგენტიანი საჯარო სკოლა) სამშენებლო სამუშაოები და მიმდინარეობს 4 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, ამასთან, მიმდინარე წელს იგეგმება დამატებით 2 ახალი სკოლის მშენებლობის დაწყება. დასრულებულია 83 სკოლის სრული რეაბილიტაცია, მათ შორის „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოსა“ და სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ სრულად რეაბილიტირდა 41 საჯარო სკოლა, ნაწილობრივ სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 500-ზე მეტ საჯარო სკოლის შენობას;**

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსებით, საჯარო სკოლებში ფუნქციონირებს **608 სამედიცინო** კაბინეტი (სკოლის ექიმი). საჯარო სკოლებში დასაქმებულია **145 ფსიქოლოგი**.

„ქართულმა ოცნებამ“ ფუნდამენტური ცვლილებები განახორციელა **პროფესიული განათლების** სისტემის განსავითარებლად. 2013 წლიდან დღემდე პროფესიული განათლების განვითარებისთვის სახელმწიფომ, ჯამში, 300 მილიონ ლარზე მეტი გამოყო, მათ შორის, პროფესიული კოლეჯების მშენებლობა/რეაბილიტაცია/აღჭურვის მიზნით დაიხარჯა 100 მლნ ლარზე მეტი. დაფუძნდა 8 ახალი პროფესიული დაწესებულება და არსებულ ქსელს დაემატა 16 ახალი ლოკაცია. ყველა სახელმწიფო კოლეჯს ჩაუტარდა სრული ან ნაწილობრივი რეაბილიტაცია, აშენდა 2 ახალი საერთო საცხოვრებელი. 10-ზე მეტ პროფესიულ დაწესებულებას ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია, მათგან 4 კოლეჯში რეაბილიტაცია განხორციელდა უნივერსალური დიზაინის ნორვეგიული სტანდარტის შესაბამისად. 14 პროფესიულ დაწესებულებაში მოეწყო ინოვაციური ლაბორატორიები (FABLAB). 2021 წელს საკვალიფიკაციო ან/და მომზადება/გადამზადების პროგრამებზე სტუდენტს/მსმენელებს პირველად მიიღებენ ახლად განვითარებული კოლეჯები/ფილიალები კასპში, მარნეულში, დუშეთში, ჩოხატაურში (გორაბერეჟოული), ქედაში, ფოთსა და შუახევში. მიმდინარეობს დამატებით 5 პროფესიული დაწესებულების/ფილიალის სამშენებლო სამუშაოები, რომლებიც სამშენებლო და სატრანსპორტო მიმართულებებით საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის კადრებს მოამზადებენ. 2018 წელს დამტკიცდა ახალი კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“, რომელმაც შესაძლებელი გახადა ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან კიდევ უფრო მეტად დაახლოება. რეფორმის ფარგლებში, გაიზარდა ვაუჩერული დაფინანსება; ჩამოყალიბდა პროფესიული განათლების მართვის ახალი მოდელი, რომელიც კიდევ უფრო გააძლიერებს კერძო სექტორის ჩართულობას პროფესიულ განათლებაში; დაინერგა ინტეგრირებული პროგრამები, რომელთა გავლის შემდეგ საბაზო (9 კლასი) განათლების მქონე პირი სრული ზოგადი განათლების ატესტატთან გათანაბრებულ დიპლომს მიიღებს; შეიქმნა ზრდასრულთა მომზადება-გადამზადების შესაძლებლობა, რაც დააკმაყოფილებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს; გაძლიერდა ინკლუზიური პროფესიული განათლება და სხვ.

2012 წლის შემდეგ, 2,1-ჯერ, გაიზარდა **უმაღლესი განათლების** დაფინანსება. **უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და სტუდენტთა მხარდაჭერის მიზნით:** სახელმწიფო სასწავლო და სამაგისტრო გრანტებით ყოველწლიურად სრულად/ნაწილობრივ ფინანსდება 30 000-მდე სტუდენტი; გაიზარდა სოციალური პროგრამებისა და მაღალი აკადემიური მიღწევების მქონე სტუდენტთა მხარდაჭერის (სტიპენდიების) პროგრამის დაფინანსება; სოციალური პროგრამებით, ყოველწლიურად, ფინანსდებიან სტუდენტები უმაღლესი განათლების I-II საფეხურებზე (წლიური ბიუჯეტი 2 მლნ 725 ათასი ლარი); დაფინანსება გამოეყოფათ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლას აგრძელებენ ერთიანი ეროვნული/სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (წლიური ბიუჯეტი – 285 ათასი ლარი); სახელმწიფო აგრძელებს გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული სტუდენტების სწავლის დაფინანსებას (პროგრამის ბიუჯეტი – 5 მლნ ლარი); გაიცემა სახელმწიფო სტიპენდიები წარმატებული სტუდენტებისთვის (პროგრამის ბიუჯეტი – 4,7 მლნ ლარი); დაფინანსებას მოიპოვებენ სტუდენტები, რომლებიც ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების საფუძველზე სწავლას აგრძელებენ საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში (პროგრამის ბიუჯეტი – 20 ათასი ლარი); ყოველწლიურად ფინანსდება და, 2014-2019 წლებში, 800-ზე მეტი სასწავლო სტიპენდია გაიცა წარმატებული ახალგაზრდების მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში სწავლისათვის. 2016 წლიდან ამოქმედდა და სახელმწიფოს მიერ სრულად ფინანსდება მასწავლებლის მომზადების 60-კრედიტიანი პროგრამები. 2019 წლიდან ამოქმედდა სკოლის შემდგომი განათლებისათვის მომზადების პროგრამა. პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებით, დადგენილი წესის შესაბამისად, სარგებლობენ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირები, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე ირიცხებიან საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სახელმწიფო აფინანსებს მათი სწავლის საფასურს. 2019 წლიდან მსჯავრდადებულებს, რომლებიც წარმატებით ჩააბარებენ ერთიან ეროვნულ/სამაგისტრო გამოცდებს, შესაძლებლობა აქვთ ისწავლონ შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებზე.

2012 წლის შემდეგ, 80%-ით გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტით **მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების** ხელშეწყობის დაფინანსება. 2015 წლიდან სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების დაფინანსება 2-ჯერ, ხოლო მეცნიერთა ხელფასები, საშუალოდ, 3-ჯერ გაიზარდა. სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტებისათვის ამოქმედდა პროგრამული დაფინანსების მექანიზმი და სადღეისოდ ფინანსდება 47 კვლევითი ინსტიტუცია.

## სკოლამდელი აღზრდა და განათლება

**სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი საკუთარი უფლებამოსილება და პრიორიტეტია.** შუახევში ფუნქციონირებს 13 მუნიციპალური საბავშვო ბაღი, მათგან 1 – დაბა შუახევში.

**2013 წლის შემდეგ საქართველოს მასშტაბით საბავშვო ბაღები გახდა უფასო. მნიშვნელოვნად გაიზარდა შუახევში ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების დაფინანსება:** თუ 2013 წელს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განათლების სფეროს ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდა 528,3 ათასი ლარით განისაზღვრა, 2020 წელს შესაბამისმა მაჩვენებელმა 1,6 მლნ ლარი შეადგინა.

**2014-2021 წლებში განხორციელდა მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაცია, მათ შორის: 2016 წელი** – უჩამბაში ყოფილი ინტერნატის შენობის რემონტი ბაგა-ბაღის განთავსებისთვის (84 ათასი ლარი); ქვანაში ყოფილი ინტერნატის შენობის რემონტი ბაგა-ბაღის განთავსებისთვის (117 ათასი ლარი); ბარათაულის ბაგა-ბაღის რეაბილიტაცია (100 ათასი ლარი); ფურტიოს, შუბნისა და ბარათაულის ბაგა-ბაღებისთვის საოჯახო ტექნიკის შეძენა (17,9 ათასი ლარი); ბაგა-ბაღებისთვის სამზარეულოს მოწყობილობების, ჭურჭლისა და საოჯახო ნივთების შესყიდვა (6,6 ათასი ლარი); ბარათაულის, ფურტიოსა და შუბნის ბაგა-ბაღებისთვის ნივთებისა და ავეჯის შესყიდვა (60,2 ათასი ლარი); იაკობაურის, ახიაურისა და შუბნის საბავშვო ბაგა-ბაღებში სასმელი წყლის სისტემის მოწყობა (80 ათასი ლარი); **2015-2017 წლები** – შუბანში ბაგა-ბაღის მშენებლობა და საჭირო ინვენტარით აღჭურვა (130,5 ათასი ლარი); ფურტიოს ბაგა-ბაღის მშენებლობა და საჭირო ინვენტარით აღჭურვა (160 ათასი ლარი); **2016-2017 წლები** – წყაროთში, სამღორიას უბანში ბაგა-ბაღის მშენებლობა (202,2 ათასი ლარი); ჩანჩხალოს ბაგა-ბაღის მშენებლობა (158,7 ათასი ლარი); ხიჭაურის ბაგა-ბაღის მშენებლობა (219,9 ათასი ლარი). **2017 წელს –** საბავშვო ბაღები აშენდა სოფლებში: ფურტიო (160 ათასი ლარი), შუბანი (130 ათასი ლარი), ჩანჩხალო (160 ათასი ლარი); **2018-2019 წლებში** გარემონტდა დაბის ბაღი (225, 2 ათასი ლარი; **2019** წელს – სოფელ ხაბელაშვილები აშენდა საბავშვო ბაღი (233,4 ათასი ლარი); სოფელ ბუთურაულის საბავშვო ბაღის რემონტზე 102, 9 ათასი ლარი დაიხარჯა; ნენიაში, ბრილსა და ოლადაურში გაიხსნა ალტერნატიული ბაღები.

**დასრულდა:** ბუთურაულის ბაგა-ბაღის მშენებლობა. **მიმდინარეობს** სოფელ ჯაბნიძეებისა (272,8 ათასი ლარი) და სოფელ დღვანის (244,444 ლარი) საბავშვო ბაღების სარეაბილიტაციო სამუშაოები.

შესრულებული სამუშაოების შედეგად, შუახევის საბავშვო ბაღებში **აღსაზრდელთა რაოდენობა** 2021 წელს, 2013 წელთან შედარებით, 194-დან 511-მდე გაიზარდა. ასევე 1,35-დან 2,5 ლარამდე გაიზარდა **კვების თანხა** თითოეულ აღსაზრდელზე, რითაც სრულფასოვანი გახდა ბავშვების **კვების რაციონი.** საბავშვო ბაღებში 36 **აღმზრდელი** და 28 აღმზრდელის თანა-

41 ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო

შემწეა. **ექთნის კაბინეტი** ფუნქციონირებს ყველა საბავშვო ბაღში, ასევე, ყველა საბავშვო ბაღი უზრუნველყოფილია **ფსიქოლოგის** მომსახურებით.

**სასკოლო მზაობის ფარგლებში,** გაიხსნა 5 ალტერნატიული ჯგუფი შუახევის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სოფელში, რომელთაც მიეწოდათ თანამედროვე სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისი მასალა. პროგრამაში სულ ჩართულია – 130 ბავშვი და 13 აღმზრდელ-პედაგოგი.

## ზოგადი განათლება

**მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 43 საჯარო სკოლა,** სადაც 1 444 მოსწავლე, 691 მასწავლებელი და 11 სპეციალური მასწავლებელია; მულტიდისციპლინური გუნდის მიერ, 2020 წლის მაისის მდგომარეობით, შუახევში იდენტიფიცირებულია 12 შშმ მოსწავლე.

**2013-2021 წლებში, ზოგადი განათლების სფეროში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, შუახევის მუნიციპალიტეტში, განახორციელა სხვადასხვა პროგრამები, მათ შორის:** წარჩინებულ მოსწავლეთა მედლების ქვეპროგრამით, 2012-2018 წლებში, გამოვლინდა 168 ოქროსა და 133 ვერცხლის მედალოსანი; 2019 წელს კი – 11 **ოქროსა** და 12 **ვერცხლის** მედალოსანი. საჯარო სკოლის **ტრანსპორტით უზრუნველყოფის პროგრამით** სარგებლობს 36 საჯარო სკოლის (102 მიმართულება) 782 მოსწავლე; **ექიმის კაბინეტი** ფუნქციონირებს 3 სკოლაში. 2017-2019 წლებში, **წარჩინებულ მოსწავლეებს** 104 ლეპტოპი გადაეცა. პროგრამით **„ჩემი პირველი კომპიუტერი“** კომპიუტერები გადაეცა 345 პირველკლასელსა და 94 **დამრიგებელს**; 2019-2020 ს/წელს გაიცა 552 **სასკოლო ჟურნალი** და 16 005 **სახელმძღვანელო**;

**2014-2021 წლებში განხორციელდა მუნიციპალიტეტში არსებული საჯარო სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტები, მათ შორის:** ზედა ჩანჩხალოს, დარგულას, კობალთის, წიახისა და მქედლურის დაწყებითი სკოლების მშენებლობა-რემონტი (სულ – 117,5 ათასი ლარი); **2016 წელს –** 21 საჯარო სკოლას გადაეცა სასკოლო მერხები და სკამები; 13 საჯარო სკოლას გადაეცა სასკოლო დაფა; 1 საჯარო სკოლას გადაეცა სამედიცინო ინვენტარი; **2017-2018 წლებში** – მუნიციპალიტეტის სოფლებში განხორციელდა საჯარო სკოლების რეაბილიტაციის 10 პროექტი (1536,2 ლარი); **2017-2020 წლებში –** დაწყებითი სკოლები აშენდა სოფლებში: ნიგაზეული (კაკალაძეების უბანში, 30 ათასი ლარი), ცენტერაძეები (30 ათასი ლარი), ლაკლაკეთი (32,2 ათასი ლარი). 1 საჯარო სკოლას გადაეცა სასკოლო დაფა. მუნიციპალიტეტში 23 **ადაპტირებული სკოლაა.** 10 სკოლა უზრუნველყოფილია **ცენტრალური გათბობით.**

**აჭარის ა/რ განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინფრასტრუქტურული პროგრამებით შუახევის მუნიციპალიტეტში განხორციელდა:** პაპოშვილების საჯარო სკოლის გათბობის სისტემის მოწყობის სამუშაოები (6,2 ათასი ლარი), ფურტიოს საჯარო სკოლის მშენებლობა (1 მლნ 469,4 ათასი ლარი), ხაბელაშვილების საჯარო სკოლის რეაბილიტაცია (353,3 ათასი ლარი), დღვანის საჯარო სკოლის ნაწილობრივი რეაბილიტაცია (5,8 ათასი ლარი); საპანსიონო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ინვენტარით აღჭურვა – შუახევის საპანსიონო კორპუსის მშენებლობა (1 მლნ 20 ათასი ლარი); სოფელ ცინარეთის სკოლის სრული რეაბილიტაცია, სოფელ ბუთურაულის საჯარო სკოლის ნაწილობრივ რეაბილიტაცია, სახურავი შეიცვალა ნაღვარევისა და ჭვანის საჯარო სკოლებზე. **2018 წელს დასრულდა** მაწყვალთისა (705 102 ლარი) და ჟანივრის (245 ათასი ლარი) საჯარო სკოლების მშენებლობა. დავა შუახევში გარემონტდა **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის დღის სარეაბილიტაციო ცენტრი** (194,7 ათასი ლარი); **დასრულდა** ბარათაულსა (ცენტერაძეების უბანში) და ნიგაზეულში (კაკალაძეების უბანში) **დაწყებითი სკოლების მშენებლობა. 2021 წელს დასრულდება** დაბა შუახევის საჯარო სკოლის ახალი შენობის მშენებლობა (2 მლნ 173,8 ათასი ლარი) და ბარათაულის საჯარო სკოლის შენობის რეაბილიტაცია (85 ათასი ლარი).

**2014-2021 წლებში, აჭარის ა/რ ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებული საჯარო სკოლების ინვენტარით უზრუნველყოფის პროგრამით განხორციელდა:** 9 საჯარო სკოლის აღჭურვა სასწავლო ინვენტარით (ხიჭაური ნიგაზეული, ნენია უჩამბა, ოლადაური, პაპოშვილები, ფურტიო, ბუთურაული, მაწყვალთა); **საჯარო სკოლების ბიბლიოთეკების განვითარების პროგრამით** – 25 საჯარო სკოლის ბიბლიოთეკები შეივსო ახალი წიგნებით (სულ – 10 000 წიგნი); 6 სკოლაში შეტანილია სპორტული ინვენტარი; 2 სკოლა სარგებლობს ფიზიკის ელექტრონული ლაბორატორიით; საბუნებისმეტყველო ლაბორატორია მიიღო 6-მა სკოლამ. **სკოლებში სპორტის განვითარების ხელშესაწყობად განხორციელდა** – დღვანისა და შუბნის საჯარო სკოლების სპორტული დარბაზების რეაბილიტაცია (სულ 43 ათასი ლარი); ხიჭაურის სპორტული დარბაზის რეაბილიტაცია (23,4 ათასი ლარი); გოგინაურისა და ქიძინიძეების სპორტული დარბაზების რეაბილიტაცია. **საჯარო სკოლების ბიბლიოთეკების განვითარების პროგრამით** – 20 საჯარო სკოლის ბიბლიოთეკები შეივსო ახალი წიგნებით (სულ 18288 წიგნი); ქვეპროგრამით „ვასწავლოთ მომავალი წარმატებისთვის“ – დასაქმდა სხვადასხვა საგნის 32 მასწავლებელი, მასწავლებლებმა გაიარეს პროფესიული გადამზადების კურსები, შესაბამის სკოლებს გადაეცათ სახელმძღვანელოები; **სასკოლო კლუბების ხელშესაწყობად** – დაფინანსდა გომარდულის საჯარო სკოლა (კლუბი „პოლიგლოტები“) და პაპოშვილების საჯარო სკოლა (კლუბები „თანადგომა“ და „მარათონი“). საბუნებისმეტყველო ლაბორატორია მიიღო 5-მა სკოლამ (ხიჭაური, დაბა შუახევი, შუბნი, ფურტიო, ნიგაზეული). **მატერიალური ბაზის გაუმჯობესების მიზნით, 2020 წელს –** ახალი მხატვრული ლიტერატურა შეემატა სოფელ ბრილის საჯარო სკოლის ბიბლიოთეკასა (3,2 ათასი ლარი) და სოფელ ნაღვარევის საჯარო სკოლის ბიბლიოთეკას (3,2 ათასი ლარი); **2021 წელს –** დაბა შუახევისა და სოფელ ჭვანის საჯარო სკოლები აღიჭურვა სპორტული ინვენტარით (7,7 ათასი ლარი).

## პროფესიული განათლება

პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, **შუახევში დასრულდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სსიპ კოლეჯის „ბლექსი“ ახალი ფილიალის რეაბილიტაცია.** „ბლექსის“ ფილიალში მოსახლეობას შეეძლება, ადგილზე მიიღოს პროფესიული განათლება, რაც ხელს შეუწყობს დასაქმებას და საჭირო უნარჩვევების შეძენას. შუახევში, პირველ ეტაპზე, სამშენებლო მიმართულებების პროფესიული პროგრამები იქნება ხელმისაწვდომი, სამომავლოდ კი იგეგმება გრძელვადიანი და მოკლევადიანი მომზადება-გადამზადების პროფესიული პროგრამების განხორციელება ტურიზმის, აგრარული და სხვა მიმართულებებით.

საჯარო სკოლის **მოსწავლეებში პროფესიული უნარების განვითარების მიზნით,** კოლეჯის ჩართულობით, შუახევში 3 პროექტი განხორციელდა; უკვე დაწყებულია შედუღებისა და ელექტროობის მოკლევადიანი პროგრამები (მსენელთა რაოდენობა – 26); **ინფრასტრუქტურული პროექტების ფარგლებში,** დაბა შუახევში მიმდინარეობს პროფესიული კოლეჯის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რაზეც 167 974 ლარი დაიხარჯება.

## უმაღლესი განათლება

**უმაღლესი განათლების მიღების ხელშეწყობის მიზნით,** სოციალური პროგრამის ფარგლებში, 2013-2017 წლებში დაფინანსდა 90 სტუდენტი, რომლებიც ბოლოს სამი წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს შუახევის მუნიციპალიტეტში არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში. 2018 წლიდან **სოციალური პროგრამით დაფინანსება მოიცავს აჭარის რეგიონს მთლიანად** (5 მუნიციპალიტეტი) და მაღალმთიანი სტატუსის მქონე სოფლის სკოლის კურსდამთვრებულთა დაფინანსებას.

2018-2019 სასწავლო წელს აჭარის რეგიონიდან დაფინანსდა 41 სტუდენტი; 2019-2020 სასწავლო წელს – 41; 2020-2021 სასწავლო წელს – 41. მაღალმთიანი სტატუსის მქონე სკოლების კურსდამთავრებულთა გარდა, ფინანსდებიან ობოლი, უდედმამო სტუდენტები. ასევე, სტუდენტები მრავალშვილიანი, სოცილურად დაუცველი, მარტოხელა სტსტუსის მქონე ოჯახებიდან და შშმ პირები.

**2018 წელს** სტუდენტთა დახმარების ქვეპროგრამით დაფინანსდა 899 სტუდენტი და დაჯილდოვდა 71 წარჩინებული სტუდენტი (962 200 ლარი); **2019 წელს** დაფინანსდა 891 სტუდენტი და დაჯილდოვდა 71 წარჩინებული სტუდენტი (950 400 ლარი); **2020 წელს** დაფინანსდა 715 სტუდენტი (758 314 ლარი), ხოლო **2021 წელს –** დაფინანსდება 1280 სტუდენტი (1 390 000 ლარი); **2022– 2024 წლებში, ქვეპროგრამა გაგრძელდება ყოველწლიური ბიუჯეტით 1 000 000 ლარი.** სტუდენტთა დაფინანსების სოციალური პროგრამა მომავალ წლებშიც გაგრძელდება.

## „ქართული ოცნების“ უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტების – განათლებისა და მეცნიერების მიმართულებით განხორციელდება:

- საჯარო დაწესებულებებში ადრეული და სკოლამდელი განათლება დარჩება უფასო; გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაფინანსება;
- გაგრძელდება სასკოლო მზაობის ჯგუფების ფუნქციონირება და ყველასთვის ხელმისაწვდომი სასკოლო მზაობის ეფექტიანი პროგრამების განხორციელება;
- **გაგრძელდება** აღმზრდელების გადამზადების პროგრამა; დაგეგმილია 2021 წლის 1 სექტემბრიდან შრომის ანაზღაურების ზრდა 40–70%-ის ფარგლებში სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების პერსონალისთვის.
- გაგრძელდება საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაცია. საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნება აღსაზრდელთა ტრანსპორტით მომსახურება;
- დაგეგმილია ბაგა-ბაღების სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები მახალაკიძეებისა და ხაბელაშვილების უბნებში – 559 ათასი ლარი; მუნიციპალიტეტის მასშტაბით დაგეგმილია 6 ბაგა-ბაღის მშენებლობა – 1,2 მლნ ლარი; მუნიციპალიტეტების მასშტაბით, დაგეგმილია ბაგა-ბაღების ეზოებში ატრაქციონების მოწყობა – 400 ათასი ლარი; დაგეგმილია ოლადაურის, ნენიის, მაწყვალთის, ქიძინიძეების ბაღების მშენებლობა.
- უწყვეტად გაგრძელდება სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების მოდერნიზება, რაც უზრუნველყოფს ბავშვისთვის სკოლაში საჭირო მრავალმხრივი – აკადემიური, ფუნქციური, ქცევითი, ემოციური და სოციალური უნარების განვითარებას; განხორციელდება ღონისძიებები სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებზე მორგებული განათლების მომსახურების უზრუნველსაყოფად;
- მნიშვნელოვნად გაიზრდება ზოგადი განათლების საბიუჯეტო **დაფინანსება,** გაიზრდება მასწავლებელთა და სკოლის ადმინისტრაციული პერსონალის შრომის ანაზღაურება;
- რეფორმის ფარგლებში დაინერგება **მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების** პრინციპები;
- განხორციელდება მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის პროგრამა;
- გაგრძელდება მუნიციპალიტეტში არსებული სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტები.
- უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტში არსებული საჯარო სკოლების მოსწავლეების, მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალის მონაწილეობა/ჩართულობა სამინისტროს მიერ განხორციელებულ პროგრამებში, მათ შორის – ტრენინგკურსებში;
- გაიზრდება პროფესიული საგანმანათლებლო და მომზადება-გადამზადების პროგრამების რაოდენობა შუახევის მუნიციპალიტეტში;
- გაიზრდება პროფესიული საგანმანათლებლო და მომზადება-გადამზადების პროგრამების **ხელმისაწვდომობა,** შემუშავდება პროფესიული განათლების მიღმა მყოფი მოწყვლადი ჯგუფების იდენტიფიკაციისა და პროფესიულ განათლებაში ჩართვის მექანიზმები;
- პროფესიული განათლების **ხარისხის უზრუნველყოფის** მიზნით, დაინერგება კვალიფიკაციების ახალი ჩარჩო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა ავტორიზაციის ახალი სტანდარტები და პროცედურები, კრედიტების ახალი სისტემა და კერძო სექტორის მიერ/მონაწილეობით პროფესიული სტანდარტების შემუშავების წესი; ამოქმედდება პროფესიული განათლების მასწავლებლის შედეგებზე ორიენტირებული შრომის ანაზღაურების ახალი სქემა;
- გაიზრდება უმაღლესი განათლების საბიუჯეტო **დაფინანსება,** შემუშავდება უმაღლესი განათლების სისტემის **დაფინანსების ახალი მოდელი**, რომელიც ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების მდგრად განვითარებასა და სასწავლო პროცესის სწავლის შედეგებზე ორიენტირებას;
- შემუშავდება და დამტკიცდება საქართველოში მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების **სტრატეგიული გეგმა**, რომლის მთავარი მიზანი იქნება ქვეყნის ეკონომიკის სტრატეგიული განვითარების მოთხოვნებსა და საზოგადოების საჭიროებებზე ორიენტირებული ინსტიტუციების განვითარების ხელშეწყობა.

ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო 41

# კულტურა, სპორტი და ახალგაზრდული პოლიტიკა

**„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, 2012 წლის ოქტომბრიდან, საქართველომ მიაღწია არსებით წინსვლას, პრაქტიკულად, ყველა მიმართულებით. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კულტურის განვითარებას, ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობასა და აღდგენა-რესტავრაციას, ქვეყანაში სპორტის განვითარებასა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას. ახალგაზრდული პოლიტიკის სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას.**

## კულტურა

**შუახევის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული შემდეგი დაწესებულებები:** შუახევის, ქვანის, ზამლეთის, შუბნის, ოლადაურის, ბარათაულისა, უჩამბის, და დღვანის სასოფლო ბიბლიოთეკები; ხაბელაშვილების ეთნოგრაფიული მუზეუმი, ნიგაზეულის სელიმ ხიმშიაშვილის მუზეუმი, ოლადაურის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, კვიახიძეების ისტორიული მუზეუმი, ა(ა)იპ შუახევის კულტურის ცენტრი, მოსწავლე ახალგაზრდობასთან მუშაობის განყოფილება

**2013 წელთან შედარებით გაიზარდა კულტურის სფეროს დაფინანსება. 2013 წლის ბიუჯეტით კულტურის სფეროს ხარჯები 484,6 ათასი ლარი იყო, 2020 წლის შესაბამისმა მაჩვენებელმა კი 609 760 ლარი შეადგინა.**

**2014-2021 წლებში გაიზარდა საზოგადოების ჩართულობა კულტურულ ცხოვრებაში:** მნიშვნელოვან თარიღებთან დაკავშირებით ეწყობა თემატური კონფერენციები და ლიტერატურული საღამოები, ბიბლიოთეკის კვირეულის ფარგლებში იმართება ,,კითხვის დღე'', ტარდება საჯარო ლექციები და სემინარები, იმართება შეხვედრები მწერლებთან, პოეტებთან, მეცნიერებთან, საბიბლიოთკო საქმის მოამაგეებთან, ეწყობა საიუბილეო თარიღებისადმი მიძღვნილი გამოფენები (შოთა რუსთაველი, ტბელ აბუსერიძე, დიდგორობა, საქართველოს დამოუკიდებლობის დღე და სხვ.). საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს პროექტის ფარგლებში ჩატარდა ,,ცოცხალი წიგნების დღე – ბიბლიოთეკის მკითხველები შეხვდნენ პოეტებსა და მწერლებს, ბიბლიოთეკას საჩუქრად გადაეცა ახალი წიგნები და ჟურნალები. აღნიშნულ შეხვედრებს 120-მდე ახალგაზრდა დაესწრო.

**2019 წელს სამინისტროს ხელშეწყობით მაღალმთიანი რეგიონებისთვის კულტურული ცხოვრების ხელმისაწვდომობის მიზნით,** შუახევის მუნიციპალიტეტში ჩატარდა კლასიკური მუსიკის კონცერტები თბილისის ნიჭიერთა ათწლედის მოსწავლეთა მონაწილეობით. გაიხსნა ქართული ხალხური მუსიკალური ინსტრუმენტების შემსწავლელი წრე, გიტარის შემსწავლელი წრე, ჟურნალისტიკის წრე. თეატრალური წრე, ხალხური რეწვის შემსწავლელი წრე, თანამედროვე ცეკვების შემსწავლელი წრე.

**2020 წელს მუზეუმებში, პანდემიიდან გამომდინარე, ღონისძიებები არ ჩატარებულა. შუახევის ბიბლიოთეკაში, მუნიციპალიტეტების ბიბლიოთეკების ჩართულობით,** სხვადასხვა ღირსშესანიშნავი თარიღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები და ბიბლიოთეკაში დაცული წიგნების იშვიათი ეგზემპლარების გამოფენა გაიმართა. კულტურის ცენტრში გაიმართა ინტელექტუალური თამაში „მოაზროვნე“ და ღირსშესანიშნავი თარიღებისადმი მიძღვნილი ღონისძიებები.

**ინფრასტრუქტურული პროექტების ფარგლებში, 2014-2021 წლებში, განხორციელდა კულტურის ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტები: 2014 წელი** – შუახევის ცენტრალური ბიბლიოთეკის შენობის რემონტი (17,7 ათასი ლარი); ოლადაურის, კვიახიძეებისა და ნიგაზეულის მუზეუმების რემონტი (13,4 ათასი ლარი); ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების შენობის სახურავის შეკეთება-შეღებვა (1,3 ათასი ლარი); **2015 წელი** – სახელოვნებო სკოლის შეღობვა (4,4 ათასი ლარი); **2016 წელი** – სახელოვნებო სკოლის წინ ფერდსამაგრი კედლის მოწყობა (14,8 ათასი ლარი); ყოფილი ახალგაზრდული ცენტრის შენობის რემონტი (17,7 ათასი ლარი). **2017 წელს** კეთილმოეწყო დარჩიძეების ციხე – 39 750 ლარი; **2019 წელს** ჩატარდა სოფელ კვიახიძეებში მდებარე მუზეუმის რემონტი – 180 ათასი ლარი. განხორციელდა ოთოლთას ციხის საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვა – 9, 4 ათასი ლარი; **2020 წელს** განხორციელდა ნიგაზეულის ციხის რეაბილიტაციის მიზნით საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვა – 34,6 ათასი ლარი.

**2021 წელს მიმდინარეობს** სახელოვნებო და მოსწავლე–ახალგაზრდობის სკოლის მშენებლობა, რომელიც დასრულდება მიმდინარე წლის ბოლოს – 665 820 ლარი. შენობა აღიჭურვება თანამედროვე ინვენტარითა და ტექნიკით, რაც ხელს შეუწყობს სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლებას.

**აჭარის ა/რ მასშტაბით, მათ შორის შუახევის მუნიციპალიტეტში კულტურული ტურიზმის განვითარებისა და ხელშეწყობის მიზნით,** 2019 წელს, განხორციელდა სამინისტროს მიერ დაფინანსებული პროექტი „დასავლეთ საქართველოს ცნობილი და უცნობი კულტურული მარშრუტები“ (32,315 ლ.). შუახევის მუნიციპალიტეტს ფარავს ევროპის საბჭოს „ებრაული მემკვიდრეობის ევროპული მარშრუტი საქართველოში” და სამინისტროს მიერ სერტიფიცირებული მარშრუტი „წმ. ანდრიას გზა“, რომელიც ხელს უწყობს ადგილობრივი კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციასა და კულტურული ტურიზმის განვითარებას.

## სპორტი

**შუახევის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ა(ა)იპ შუახევის კომპლექსური სასპორტო სკოლა.**

**2013 წელთან შედარებით გაიზარდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სპორტის სფეროს დაფინანსება. 2020 წლის ბიუჯეტით სპორტის ხარჯები 82,020 ლარით განისაზღვრა, 2013 წლის შესაბამისი მაჩვენებელი 112,2 ათასი ლარი იყო.**

ა(ა)იპ შუახევის კომპლექსურ სასპორტო სკოლაში ირიცხება 380 მოსწავლე და 21 მწვრთნელი. **შემუშავებულია წარმატებული სპორტსმენებისა და მწვრთნელების ფულადი პრემიით დაჯილდოების პროგრამა.**

**შუახევის მუნიციპალიტეტში სპორტის პრიორიტეტული სახეობებია:** თავისუფალი ჭიდაობა, მაგიდის ჩოგბურთი, ქართული ჭიდაობა, ძიუდო, რაგბი, ფეხბურთი, მკლავჭიდი, მძლეოსნობა, კალათბურთი, ფრენბურთი, სათხილამურო სპორტი, ჭადრაკი, კრივი და ნარდი.

სკოლებში გაიხსნა ჭადრაკის შემსწავლელი წრეები, რომლის მოსწავლეებიც წარმატებით ასპარეზობენ, როგორც ადგილობრივ, ასევე რეგიონულ ტურნირებზე. **აღსანიშნავია სპორტსმენთა შედეგები:** აჭარის პირველობა სათხილამურო სპორტში – 2 პირველი ადგილი; საქართველოს პირველობა სათხილამურო სპორტში – 1 მეორე და 1 მესამე ადგილი; აჭარის პირველობა ძიუდოში – 5 პირველი ადგილი; ტურნირები თავისუფალ ჭიდაობაში – 4 პირველი ადგილი; აჭარის რეგიონალური პირველობები და ტურნირები ქართულ ჭიდაობაში – 23 პირველი ადგილი; საქართველოს პირველობა ქართულ ჭიდაობაში – 1 პირველი ადგილი; აჭარის პირველობები და ტურნირები კრივში – 7 პირველი ადგილი; რესპუბლიკური ტურნირი კრივში (მთიანეთში, 300 არაგველის სახ. ტურნირი) – 2 მეორე ადგილი; ჭადრაკი – 3 პირველი ადგილი. აჭარის რეგიონალური პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში 5 მესამე ადგილი.

**2019 წლის ა(ა)იპ შუახევის კომპლექსური სასპორტო სკოლი მიღწევებია:** აჭარის პირველობა კრივში – 3 გამარჯვებული; აჭარის პირველობები და ტურნირები ქართულ ჭიდაობაში სხვადასხვა წონით კატეგორიაში – 41 გამარჯვებული; რესპუბლიკური ტურნირები თავისუფალ ჭიდაობაში სხვადასხვა წონით კატეგორიაში – 5 გამარჯვებული; აჭარის პირველობა ჭადრაკში გოგონებსა და ვაჟებს შორის – 2 გამარჯვებული; გოდერძი ბოლქვაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში – 6 გამარჯვებული; აჭარის პირველობა მძლეოსნობაში – 2 გამარჯვებული; **2020 წელს** სოფელ გომარდულში გაიმართა, 2008 წლის 8 აგვისტოს ომში დაღუპული გმირების – ა. მამალაძისა და ი. მიქელაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი სამთო-სათხილამურო სპორტში, სამ ასაკობრივ ჯგუფში – 8 გამარჯვებული; **ა(ა)იპ შუახევის ფეხბურთისა და რაგბის განვითარების სკოლის მიღწევები:** აჭარის პირველობა ფეხბურთში – 1 გამარჯვება; დასავლეთ საქართველოს ბავშვთა სარაგბო ფესტივალებში მონაწილეობა – 9 გამარჯვება;

**2014-2021 წლებში განხორციელდა მუნიციპალიტეტის სპორტული ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციის არაერთი პროექტი:** შუახევის სპორტკომპლექსზე წყალსადენის ქსელის მოწყობა (39 ათასი ლარი); დღვანის სპორტული მოედნის მშენებლობა (26 ათასი ლარი); ბარათაულის სპორტული მოედნის მშენებლობა, (26 ათასი ლარი); ნენიის სპორტულ მოედანზე შავი საფარის დაგება (21 ათასი ლარი); ბუთურაულის სპორტული მოედნის ასფალტის საფარის დაგება და სანიაღვრე არხის მოწყობა (18 ათასი ლარი); ფურტიოს რაგბის მოედნის მშენებლობა (74,4 ათასი ლარი); ფურტიოს რაგბის მოედნის დარჩენილი სამუშაოების დასრულება (10,2 ათასი ლარი); ნენიის სპორტულ მოედანზე შავი საფარის დარჩენილი სამუშაოების დასრულება (24,9 ათასი ლარი); ლომანაურის სპორტული მოედნის მშენებლობა (28 ათასი ლარი); ნაღვარევში სპორტული მოედნის მშენებლობა (29,9 ათასი ლარი); წაბლანაში სპორტული მოედნის მშენებლობა (29,9 ათასი ლარი); შუახევის სპორტული კომპლექსის სახურავის რემონტი (17,8 ათასი ლარი); ნიგაზეულის ცენტრში, სპორტულ მოედანზე შა-





**1 200 000 ლარი**
**შუახევის კულტურის ცენტრის რეაბილიტაციისთვის**

41 ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო

ვი საფარის დაგება (26,7 ათასი ლარი); სხეფში სპორტული მოედნის მშენებლობა (22,5 ათასი ლარი); ჯაბნიძეებში სპორტული მოედნის მშენებლობა (20 ათასი ლარი); ოლადაურში მინი სპორტული მოედნის მშენებლობა (25,4 ათასი ლარი); შუახევის ცენტრალური მოედნის გაფართოება (22 ათასი ლარი). მუნიციპალიტეტის ხუთ სოფელში აშენდა მინი სტადიონი (113, 3 ლარი) ჩატარდა დაბა შუახევის სტადიონის გაფართოების სამუშაოები (60 ათასი ლარი); სოფელ ნიგაზეულსა და ნენიაში დამონტაჟდა გარე სავარჯიშო მოწყობილობები ( 22,5 ათასი ლარი); სპორტული მოედნები აშენდა სოფლებში – კარაპეტსა (30 ათასი ლარი) და ზემოხევში (30 ათასი ლარი); გარემონტდა სოფელ ტაკიძეების სკოლის სპორტული მოედანი (25 ათასი ლარი). დასრულდა სოფელ დარჩიძეების სპორტული მოედნის მშენებლობა;

**2021 წელს –** დაბა შუახევის სასპორტო სკოლა აღიჭურვა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სპორტული ინვენტარით. მოეწყო სატრენაჟორო დარბაზი. **მიმდინარეობს** სოფელ ქვანის (58 ათასი ლარი), სოფელ ხიჭაურისა (63 ათასი ლარი) და შუახევის სპორტული მოედნების სარემონტო სამუშაოები. **დაგეგმილია** გორი–პაპოშვილებისა და რიკის ხიდის სპორტული მოედნების მშენებლობის დაწყება.

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს **„მაღალმთიან დასახლებებში სპორტის სფეროში დასაქმებული მწვრთნელების მხარდაჭერის პროგრამის“** ფარგლებში, მუნიციპალიტეტში დასაქმებული **21 მწვრთნელი** იღებს ფულად დანამატს. ეს პროგრამა ხელს უწყობს ადგილზე მწვრთნელების დამაგრებას და სხვა პირების მაღალმთიან რეგიონში მწვრთნელად მუშაობის მოტივაციის გაზრდას.

## ახალგაზრდული პოლიტიკა

**ახალგაზრდობის სფეროში სამინისტრომ მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სახის პროექტი განახორციელა:** მოხალისეობის განვითარების პროგრამა (რეგიონის მასშტაბით მონაწილეობდა 2-2 ახალგაზრდა ყველა მუნიციპალიტეტიდან); „„საქართველოს თასი ლაშქრობაში“ (მონაწილეობდნენ 18-დან 29 წლამდე ასაკის ახალგაზრდები საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტიდან); მუნიციპალიტეტებში ახალგაზრდობაზე პასუხისმგებელ პირთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგები.

**სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის მხარდაჭერით, შუახევის** მუნიციპალიტეტში, ახალგაზრდობის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციამ ა(ა)იპ „საზოგადოებრივ ინიციატივათა ჯგუფმა“ განახორციელა პროექტი „აჭარის მაღალმთიან რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდების სამოქალაქო განათლების განვითარების ხელშეწყობა“ (18,1 ათასი ლარი). პროექტის მიზანი იყო აჭარის მაღალმთიანი სოფლების სკოლის დამამთავრებელი კლასის მოსწავლეების სამოქალაქო ცნობიერების გაზრდა, ხულოსა და შუახევის მუნიციპალიტეტებში მცხოვრები ახალგაზრდების სამოქალაქო განვითარების ხელშეწყობა.

**2017-2021 წლებში** – გაიმართა სხვადასხვა ღონისძიება, მათ შორის: მუნიციპალიტეტის პირველობები ფრენბურთში, ჭადრაკსა და კალათბურთში (3 000 ლარი); ეკო-ტური კავიანის ციხეზე (847 ლარი); ტურისტული ლაშქრობა მთა ჩირუხას მთაზე (1 265 ლარი); ტური რაჭის რეგიონში ახალგაზრდების მონაწილეობით (2 508 ლარი); ახალგაზრდობის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება (2 084 ლარი); წიგნის საერთაშორისო დღე (303 ლარი); კურორტ გომარდულის სეზონის გახსნა (4 900 ლარი); ტრენინგი – საოჯახო სასტუმროების ეფექტური მართვა (270 ლარი); დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღე (222,97 ლარი); EXPO BATUMI – 2019 შუახევის მონაწილობა (2 200 ლარი); წლის შემაჯამებელი ახალგაზრდული ღონისძიება და წამატებული ახალგაზრდების დაჯილდოება (11 ათასი ლარი); ახალგაზრდობის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება (2 ათასი ლარი).





ტრადიციული დღესასწაული „შუამთობა“

**ხელი შეეწყო მასობრივი სპორტის განვითარებას:** 2019 წელს გაიმართა ახალგაზრდული სპორტული მარათონი სირბილში **„დაიახლოვე ჯანსაღი ცხოვრება“** (100-მდე ახალგაზრდა). შეიქმნა მერის ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭო, რომელიც აერთიანებს 22 წევრს და საბჭოში წარმოდგენილი არიან ახალგაზრდები მუნიციპალიტეტის ყველა ადმინისტრაციული ერთეულებიდან. 2021 წელს დაფუძნდა **„ქვანის ახალგაზრდული ცენტრი“,** რომელიც ახორციელებს პროექტებს ახალგაზრდებში არაფორმალური განათლების ხელშეწყობის კუთხით. არასამთავრობო ორგანიზაციასთან „გადასხვაფერდი“ ერთად, **დაბა შუახევში, გაიხსნა ახალგაზრდული სივრცე**. კოვიდ პანდემიის დროს განხორციელდა ონლაინ პროექტი **„გააზიარე ცოდნა“** (130-მდე ახალგაზრდა). ყოველწლიურად აღინიშნება **„ევროპის სპორტის კვირეული“,** რომელშიც ჩართულია 80-მდე ახალგაზრდა.

**აჭარის ა/რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულებამ – სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტმა განახორციელა:** ახალგაზრდულ საქმეთა სფეროს ხელშეწყობის პროგრამა – 2014-2018 წლებში, ყოველწლიურად ხორციელდებოდა 7 ღონისძიება (წელიწადში 3800-მდე ახალგაზრდა, ბიუჯეტი 380 000 ლარი): ფორუმი „რეგიონის განვითარება და ახალგაზრდობის როლი”, „ახალგაზრდობის კლუბების მხარდაჭერა (ჩატარდა 5 სახეობაში: ლიტერატურული კლუბი, სადისკუსიო კლუბი, გამომგონებელთა კლუბი, ხელოვანთა კლუბი და შშმ პირთა ჩართულობის კლუბი, ყოველწლიურად ჯამში 44 აქტივობა), ინტელექტუალური თამაშები, ახალგაზრდული საზაფხულო ბანაკი, ლიდერთა სკოლა, „მხიარული რეგიონი“.

**2019 წელს შეიქმნა სსიპ ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრი.** სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტიდან აღნიშნული მიმართულება გადავიდა ახალგაზრდობის რეგიონულ ცენტრში. ექვსივე მუნიციპალიტეტთან ერთად, შუახევსაც მინიჭებული აქვს კვოტები. სს(ი)პ ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრი ახორციელებს შემდეგ პროგრამებს: არაფორმალური განათლებისა და თავისუფალი დროის სწორად მართვის ხელშეწყობა (ბიუჯეტი 483 000 ლარი). ახალგაზრდული ცნობიერების ამაღლება და მოხალისეობრივი საქმიანობის ხელშეწყობა (ბიუჯეტი 166 450 ლარი), კარიერული განვითარებისა და ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა (ბიუჯეტი – 219 700 ლარი), ახალგაზრდობის ინტელექტუალურ-კულტურული განვითარების მხარდაჭერა (ბიუჯეტი 184 000 ლარი), სტრატეგიული დაგეგმარებისა და ეფექტური კომუნიკაციის ხელშეწყობა (ბიუჯეტი 65 000 ლარი).

**2020 წელს ეპიდსიტუაციიდან გამომდინარე, ქვეყანაში არსებული რეგულაციების გათვალისწინებით, სსიპ ახალგაზრდობის რეგიონულმა ცენტრმა განახორციელა შემდეგი პროგრამები:** არაფორმალური განათლებისა და თავისუფალი დროის სწორად მართვის ხელშეწყობა (ბიუჯეტი 113 310 ლარი), ახალგაზრდული ცნობიერების ამაღლება და მოხალისეობრივი საქმიანობის ხელშეწყობა (ბიუჯეტი 170 054 ლარი) და ახალგაზრდობის ინტელექტუალურ-კულტურული განვითარების მხარდაჭერა (ბიუჯეტი 90 103 ლარი).

**2025 წლამდე კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული მიმართულებებით შუახევის მუნიციპალიტეტში შემდეგი ღონისძიებები გატარდება:**

- უზრუნველყოფილი იქნება კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროში მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ინსტიტუციების ეფექტიანი და შედეგებზე ორიენტირებული საქმიანობა;
- გაიზრდება კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროების დაფინანსება;
- გაიზრდება კულტურის ხელმისაწვდომობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის;
- ხელი შეეწყობა სახელოვნებო განათლების განვითარებას;
- განხორციელდება კულტურული ცხოვრების ხელშემწყობი და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვა-რეაბილიტაციის ღონისძიებები;
- დაგეგმილია დაბა შუახევის კულტურის სახლის კაპიტალური რემონტი – 800 ათასი ლარი;
- კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიზნობრივი პროგრამებით განხორციელდება პროექტი „ცოცხალი წიგნები“ – ითვალისწინებს საქართველოს სხვადასხვა სოფლისა და ქალაქის საჯარო სკოლებში, ბიბლიოთეკებსა და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში თანამედროვე მწერლებისა და ხელოვანთა მობილური ჯგუფების შესვლას (სულ 125 ათასი ლარი);
- 2023-2025 წელს დაგეგმილია ნიგაზეულის ციხის სარეაბილიტაციო სამუშაოები. ამ ეტაპზე მზად არის შესაბამისი პროექტი (350 ათასი ლარი).
- დაგეგმილია კულტურის ცენტრის შენობის რემონტი, რომელიც დასრულდება 2022 წელს.
- გაგრძელდება სპორტის მასობრივი და მაღალი მიღწევების მქონე სახეობების განვითარება;
- ხელი შეეწყობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში სპორტის პრიორიტეტულ სახეობათა პოპულარიზაციას;
- ნიჭიერი ბავშვებისა და ახალგაზრდების სპორტული შესაძლებლობების გამოსავლენად გაგრძელდება წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობა და მათთვის შესაბამისი პირობების შექმნა;
- გაგრძელდება სპორტული ობიექტების მშენებლობა რეაბილიტაცია. უჩამბის თემში (წაბლანა, ცინარეთი, ლაკლაკეთი, კვირიაული, სამოლეთი, მორინეთის სოფლების ბაზაზე) განხორციელდა დახურული ტიპის სპორტული კომპლექსის მშენებლობა (200 ათასი ლარი); შუახევის ცენტრში, სპორტკომპლექსის მიმდებარე ტერიტორიაზე დახურული ტიპის საცურაო აუზის მოწყობა (200 000), ვერხვანაში, რიკიხიდის ტერიტორიაზე სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცენტრის მოწყობა (300 ათასი ლარი);
- დაგეგმილია დაბის ცენტრალური მოედნის და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სპორტული მოედნების რემონტი (227 ათასი ლარი);
- სოფლების ადმინისტრაციულ ცენტრებში ეტაპობრივად დამონტაჟდება გარე სავარჯიშო მოწყობილობები (100 ათასი ლარი);
- ხელი შეეწყობა მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობაში ახალგაზრდების ჩართვასა და მათ მიერ ინიცირებული პროექტების განხორციელებას;
- განხორციელდება სპორტული ცხოვრების განვითარებისა და ახალგაზრდობის ეფექტიანი პოლიტიკის გატარების ხელშემწყობი პროექტები;
- იგეგმება ახალგაზრდული ცენტრების შექმნა; არაფორმალური განათლების ხელშეწყობა (ტრენინგები, სემინარები, ვორქშოპები); ტურისტული ლაშქრობები, რომელიც ხელს შეუწყობს ტურისტული ადგილების პოპულარიზაციას, ლაშქრობის კულტურის განვითარებას ახალგაზრდებში.

ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო 41




# ჩემო ძვირფასებო!

როგორც თქვენთვის ცნობილია, არაერთი მიმართულებით მივაღწიეთ ხელშესახებ შედეგებს და ბევრი წარმატებული პროექტი განვახორციელეთ. თუმცა, შუახევში ჯერ კიდევ ბევრი ისეთი გამოწვევაა, რაც სწრაფ და ეფექტურ გადაწყვეტას საჭიროებს.

2017 წლიდან მოყოლებული, აქტიურად ვარ ჩართული შუახევის მუნიციპალიტეტის ცხოვრებაში, კარგად ვიცი ის პრობლემები, რაც ჩვენი მოსახლეობის წინაშე დგას და მჯერა, მომდევნო წლების განმავლობაში, სწორედ თქვენი ჩართულობით, ერთიანი ძალისხმევით შევძლებთ მათ მოგვარებას.

მე, როგორც შუახევის მუნიციპალიტეტის მერობის კანდიდატი, გპირდებით, ჩემს გუნდთან ერთად, რომლის ყველა წევრმა იცის, რომ უპირველესი არის ხალხი და ხალხის ინტერესი, ყოველდღიურ რეჟიმში, მაქსიმუმს გავაკეთებ, რათა ჩვენი მოსახლეობის მოთხოვნები სრულად იყოს დაკმაყოფილებული.

ჩვენ შევძლებთ, მუნიციპალიტეტის აღმშენებლობა განვითარების ახალ ეტაპზე გადავიყვანოთ და იმგვარი პროექტები განვახორციელოთ, რომლებიც მოსახლეობის ცხოვრებას უფრო კომფორტულს გახდის და ეკონომიკურად გაგვაძლიერებს.

შუახევი „ქართულ ოცნებასთან“ ერთად გაიმარჯვებს! ერთად აუცილებლად გავიმარჯვებთ!

**„ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბი ყველა ამომრჩეველს და საჯარო მოსამსახურეს მოუწოდებს, კენჭისყრის დღემდე და კენჭისყრის დღეს დაიცვან ქცევის შემდეგი წესები:**



- დაუშვებელია საჯარო მოსამსახურეების, საჯარო სკოლების პედაგოგების, აგრეთვე სსიპ-ებისა და სახელმწიფოს ან მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების თანამშრომლების საარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობა სამუშაო საათებში ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, მათ შორის სოციალურ ქსელებში პოლიტიკური შეხედულებების გამოხატვის გზით;



- დაუშვებელია სახელმწიფო და მუნიციპალური თანამდებობის პირების მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება ამომრჩევლის მიერ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის მხარდამჭერის ან მხარდაჭერისგან თავის შეკავების უზრუნველყოფის მიზნით;



- დაუშვებელია ამომრჩევლისთვის რაიმე მატერიალური ან არამატერიალური სარგებლის გადაცემა ან შესაბამისი დაპირების გაცემა ამომრჩევლის მიერ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან მხარდაჭერისგან თავის შეკავების უზრუნველყოფის მიზნით;



- დაუშვებელია ამომრჩევლის იძულება, სხვა პირს გაუმჟღავნოს საკუთარი არჩევანი, მათ შორის საარჩევნო ბიულეტენის ფოტოგადაღების ან საარჩევნო კაბინიდან გამოსვლის შემდეგ ბიულეტენის საჯაროდ ჩვენების გზით;



- კენჭისყრის კაბინაში ფოტო და ვიდეოგადაღება, აგრეთვე შევსებული საარჩევნო ბიულეტენის სხვა პირთათვის ჩვენება დაუშვებელია;



- დაუშვებელია ხმის მიცემა სხვა ამომრჩევლის ნაცვლად, აგრეთვე საარჩევნო ბიულეტენის შევსება სხვა პირის თანდასწრებით;




- კენჭისყრის შენობაში კენჭისყრის დღის 8 საათიდან 20 საათამდე აკრძალულია საარჩევნო აგიტაცია;




- მოვუწოდებთ ყველა პარტიის აქტივისტს, მხარდამჭერსა და ამომრჩეველს, თავი შეიკავონ საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე დაყოვნებისგან;




- აკრძალულია კენჭისყრის შენობაში ან კენჭისყრის შენობის მიმდებარედ ამომრჩევლის გადაადგილების ფიზიკურად შეფერხება.